

პარლამენტი მთავრობის განახლებული შემადგენლობის წევრების პროცედურას იწყებს

საპარლამენტო ორგანო მიმდინარე კვირიდან მთავრობის განახლებული შემადგენლობის წევრების პროცედურას იწყებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ცვლილებები არ შეეხება იუსტიციის სამინისტროს. გაერთიანებულ უწყებას კვლავ თვა წულუკიანი უხელმძღვანელებს, თუმცა მინისტრთა სხვა შემადგენლობა ჯერ კიდევ უცნობია. ამ დრომდე არ კონკრეტდება თარიღი, თუ როდის წარადგენს კაბინეტს პრემიერ-მინისტრი.



მამუკა ხახტაძე მთავრობის განახლებულ შემადგენლობას 11 ივლისს დაასახელებს

— ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა.



მისი თქმით, სამთავრობო ცვლილებებზე კონსულტაციები უმრავლესობასთან ჯერ არ გამართულა. მისივე ინფორმაციით, მმართველ გუნდსა და პრემიერ-მინისტრს შორის კონსულტაციები რამდენიმე დღეში შედგება.

„აღბათ, პრემიერი შემადგენლობას ოთხშაბათს წარმოადგენს, შემდეგ დაიწყება ნდობის გამოცხადების პროცედურა“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

გარკაეული გაერთიანებები, უმცირესები იბრუნება

დედაქალაქის მერმა, პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა კახა კალაძემ მთავრობის ახალ შემადგენლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, მცირე მთავრობის კონცეფცია წაადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

„გარკვეული გაერთიანებები იგეგმება, შემცირებული იგეგმება. იმიტომ, რომ მთავარი არის მობილურობა, მთავარი არის სისწრაფე, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და მგონია, რომ რეფორმები, რომელიც იქნა დაანონსებული პრემიერის მხრიდან, ძალიან წაადგება ჩვენს ქვეყანას და პირველ რიგში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“, — განაცხადა კალაძემ.

გენერალური გეგმა ქალაქის განვითარებას დაეფუძნება

დედაქალაქის მინათსარგებლობის დოკუმენტი საკრებულოს უკვე გადაეგზავნა. თბილისის გენგეგმის განხილვა აგვისტოს ბოლომდე უნდა დასრულდეს. სავარაუდოდ, პირველი იანვრიდან კი თბილისის განაშენიანების უკვე ოფიციალური დოკუმენტი ექნება. ოპოზიციის ბრალდებებს თბილისის მერი პასუხობს.

თბილისის მერი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დედაქალაქის განვითარების გეგმას საერთოდ არ იცნობს.

„ნაციონალური მოძრაობა საერთოდ აცდენილია ყველას და ყველაფერს. რომ ჰკითხო, რას ნიშნავს გენერალური გეგმა და რას უნდა წარმოადგენდეს, დარწმუნებული ვარ ვერც ერთი ვერ გეტყვის, რაზეა საერთოდ საუბარი. გენერალური გეგმა, რომელიც ჩვენ მივიღეთ, დაეფუძნება ქალაქის გრძელვადიან განვითარებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.



თბილისის საკრებულოს ოპოზიცია თბილისის მინათსარგებლობის დოკუმენტში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს. „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი პრეტენზიები რეკრეაციული ზონის შემცირებასა და საქალაქო ტრანსპორტის განვითარებას უკავშირდება, რომელიც ოპოზიციის მტკიცებით, გენგეგმის პროექტში გათვალისწინებული არ არის.



კოდაში ცხენოსანი ოკუპანტების გამოჩენა

კოდაში უკვე ცხენოსანი ოკუპანტებიც გამოჩნდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას ანტიოკუპაციური მოძრაობა ავრცელებს.

ქარელის რაიონის სოფელ კოდაში, სადაც რუსი ოკუპანტები დემარკაციის ახალი, უკანონო ეტაპისთვის ემზადებიან, ქვეითთა რაზმებთან ერთად, უკვე ცხენოსანი ოკუპანტებიც გამოჩნდნენ. „ძალა ერთობაშიას“ მონიტორინგის ჯგუფმა ოკუპანტთა გადაადგილება 5 ივლისს გადაილო. კადრები ორგანიზაციის ლიდერის დავით ქაცარავას ფეისბუქ-ლაივში მოხვდა.

„...აჰა, ცხენოსანი ოკუპანტებიც გამოჩნდნენ... გილოცავთ ჩვენ მოვიგეთ ოკუპაცია!“, — თქვა პირდაპირ ეთერში დავით ქაცარავამ და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კოდა-ჭვრინისის მონაკვეთზე ოკუპანტების გააქტიურება ემუქრება ყველას, იმის მიუხედავად, ის კოდაში ცხოვრობს, თბილისში თუ ბათუმში. „ძალა ერთობაშიას“ მიერ გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ რუსი ოკუპანტები სოფელ კოდაში საოკუპაციო ზოლს აქვთ, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილებიან. მათი რეიდის ადგილიდან ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები სულ რაღაც რამდენიმე ათეული მეტრითაა დაშორებული.

5 ივლისს, ისევე როგორც წინა დღეებში, კოდაში მოძრაი ოკუპანტების ჯგუფი კოორდინატების მოძიებით იყო დაკავებული. სავარაუდოდ, ისინი კოდაში გავლენილი საოკუპაციო ზოლის განახლებას აპირებენ. ლობის ინსტალაცია 2013 წელს დაიწყო და მალევე შეწყდა, თუმცა, საკითხი ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ამ ზაფხულს მოულოდნელად გააქტიურა, შექმნა რა „დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების დროებითი საპარლამენტო კომისია“. ცხინვალში აცხადებენ, რომ ზოგიერთი სოფელი და, მათ შორის, ფასდაუდებელი საბადოები, „რაღაც ჯადოქრობით, ქართულ მხარეს აღმოჩნდა“, — აცხადებენ მოძრაობაში.

მოძრაობის ინფორმაციით, დე ფაქტო ხელისუფლების პრეტენზიები კოდაში მდებარე დოლომიტისა და წნელისში მდებარე ტალკის საბადოებს უკავშირდება.

საგადასახადო რეჟიმი, როგორც სახელმწიფო სთავაზობს მსიკა და საშუალო მენარკმებს, უპრესიდენტო

საპარლამენტო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ქუთაისში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეხვდა. გიორგი ჩერქეზიშვილის შეხვედრა ადგილობრივ ბიზნესექტორთან დაბეგვრის ახალი, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შესახებ მთავრობასა და ბიზნესს შორის მიმდინარე ღია დიალოგის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ფინანსთა მინისტრმა ნიკოლოზ გაგუამ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა.

მცირე მენარმეებისთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი 1 ივლისიდან უკვე ძალაშია. მისი ამოქმედების პირველივე ეტაპზე მთავრობის წევრები მენარმეებს პირადად ხვდებიან, რათა ყველა შესაძლო კითხვას ამომწურავი პასუხი გაეცეს. ამასთან, მინისტრები უშუალოდ მენარმეებისგან იღებენ ინფორმაციას და ისმენენ მათ მოსაზრებებს რეფორმის მიმდინარეობის შესახებ. ქუთაისში მიმდინარე შეხვედრაში 200-მდე ბიზნესმენმა მიიღო მონაწილეობა — მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა მთელი დასავლეთი საქართველოდან.

„ეს არის უპრესიდენტო საგადასახადო რეჟიმი, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს მცირე და საშუალო მენარმეებს, რათა მათ უფრო მეტი ინიციატივა გამო-



იჩინონ ბიზნესის განვითარებისთვის“, — აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას. გიორგი ჩერქეზიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მთავრობის პრიორიტეტია. „ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვასორციელებს სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან და გვაქვს ძალიან ბევრი წარმატებული პროექტი, მათ შორის მიმდინარე. მოხარული ვარ, რომ დღეს შეხვედრით ამ პროგრამების ბენეფიციარებს, რომლებთანაც ვიმსჯელებთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს და როგორ განვითარდეს აღნიშნული პროგრამები“, — განაცხადა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

მასშტაბური საგადასახადო ცვლილება 120 ათასამდე მენარმე ფიზიკურ პირს შეეხება. ახალი საგადასახადო რეჟიმი, ერთი მხრივ, ანებსებს მინიმალურ საგადასახადო ტვირთს მცირე ბიზნესისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მენარმეებისთვის გამარტივებული საგადასახადო აღრიცხვის მეშვეობით, მინიმუმამდე შემცირდეს საგადასახადო ადმინისტრირების დასახარჯები.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭებათ მენარმე ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარამდე იქნება, ნაცვლად მანამდე არსებული 100 000 ლარისა. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 5%-ისა.

მოსავლის აღება და დაბინაობა უეფაჩხაულად მოხდება

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ხორბლის აღების პროცესს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაეცნო და ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა.

კახეთის რეგიონში თავთავიანი კულტურის, მათ შორის, ხორბლის მოსავლის აღება აქტიურ ფაზაშია. რეგიონში 67 ათას ჰექტარამდე ნათეს ფართობზე, წინასწარი მონაცემებით, 230 ათას ტონა ხორბალს ელოდებიან. 19 ათას ჰექტარზე დათესილი ქერი, რომლის

საპროგნოზო მოსავალი 58 ათასი ტონას შეადგენს.

მოსავლის შეფუერხებლად აღების პროცესში აქტიურად არის ჩართული შპს „მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. კახეთის რეგიონში მობილუზებულია 103 ერთეული მარცვლეულის ამღები კომბინი, აქედან, დედოფლისწყაროს სერვისცენტრში 49, ხოლო გურჯაანის სერვისცენტრში — 54 ერთეული. მოსავლის აღების პროცესში ჩართულია ბელარუსუ-



ლი წარმოების 30 ერთეული ახალი კომბინი, რომლებიც შპს „მექანიზატორმა“ 2018 წელს შეიძინა.

„მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საპექტარო მოსავლიანობა კარგია. ყველა შესაბამისი სამსახური აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ მოსავლის აღება და დაბინაობა შეუფერხებლად მოხდეს. სწორედ იმიტომ, შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტს დაემატა ორი ახალი ქვეკომპონენტი: შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის და შეღავათიანი აგროლიზინგი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის. დიდია ფერმერების ინტერესი ტექნიკის შექნაზე და, ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში მარცვლეულის კულტურების სექტორის განვითარებას, შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფის კუთხით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებთ“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

დაღის მდგომარეობით, კახეთის რეგიონში შპს „მექანიზატორს“ უკვე აღებული აქვს 11 ათას ჰექტარზე დათესილი თავთავიანი კულტურის მოსავალი.

სოფელ ქუბერში დასახლებულთა დასახელებულად

14 ტონა ტვირთი გაიგზავნა



ძალად თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივითა და ორგანიზებით სოფელ ქუბერში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები

გაიგზავნა. ათივე რაიონის გამგეობის თანამშრომლების მიერ შექმნილი პროდუქტები დიდუბის რაიონის გამგეობაში შეგროვდა და მსტიის მუნიციპალიტეტში გაიგზავნა. სტიქიის შედეგად დაზარალებულს დახმარება რამდენიმე კერძო კომპანიაზე გაუნია.

დიდუბის გამგეობაში, საიდანაც 14 ტონა ტვირთი ქუბერში გაიგზავნა, გამგებლებთან ერთად თბილისის მერის მოადგილე ილია ელოშვილი იმყოფებოდა.

„თბილისის გამგეობის ინიციატივით, ქუბერში გასაგზავნად, გამგეობის თანამშრომლებმა საკუთარი სახსრებით საკვები და საყოფაცხოვრებო ნივთები შეაგროვეს. მისარია, რომ გამგეობას შემოუერთდა ბიზნესი, მოქალაქეები და საბოლოო ჯამში, პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მედიკამენტების შთამბეჭდავი რაოდენობა შეგროვდა. ტვირთი ქუბერში იგზავ-

ნება, რათა დაზარალებულებს დაეხმარათ“, - აღნიშნა ილია ელოშვილმა.

დიდუბის რაიონის გამგებლის ირმა ზავრადაშვილის განცხადებით, გამგეობის თანამშრომლების ინიციატივას ადგილობრივი მოსახლეობა და რაიონებში არსებული კერძო კომპანიების წარმომადგენლები საკუთარი ინიციატივით შეუერთდნენ.

სოფელ ქუბერში, 5 ივლისს, მდინარე ნენსკრას ადიდებამ მთის ნაწილის ჩამოშლა გამოიწვია. სტიქიის შედეგად, სოფლებთან დამაკავშირებელი გზები დაიტბორა, დაზიანდა ხიდები და საცხოვრებელი სახლები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ყველა შესაბამისი უწყება და სამსახურია ჩართული. ადგილზე იმყოფებიან სახანძრო-სამაშველო და საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეციალისტების ჯგუფები. მობილიზებულია ასევე, დამატებითი სამაშველო ჯგუფები და ტექნიკა უახლოესი ლოკაციებიდან.

იაპონიაში ქართული ღვინის შეტანის პროცესი პარტიკულა

იაპონიაში დარეგისტრირებულ უცხოური ლაბორატორიების ჩამონათვალს 4 ქართული ლაბორატორია დაემატა, რაც იაპონიაში ქართული ღვინის იმპორტის პროცედურებს საგრძობლად გაამარტივებს.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, იაპონიის საბაჟოზე საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის დამატებითი ლაბორატორიული შემოწმება და სერტიფიცირება ხდებოდა, რაც დაკავშირებული იყო დამატებით ხარჯებსა და პროცედურულ სირთულეებთან, რომლებსაც აწყდებოდნენ ქართული ღვინის იმპორტით დაკავებული კომპანიები და რაც საბოლოო

ჯამში, ქართული ღვინის ღირებულებაზე აისახებოდა.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, იაპონიაში საქართველოს საელჩოს წინადადებით მიმართა. საელჩომ საქართველოდან გამოითხოვა ლაბორატორიათა სია, რომელთა დარეგისტრირებაც მიზანშეწონილი იქნებოდა იაპონური მხარის მიერ. ამის შემდეგ, საქართველოს დიპლომატიურმა უწყებამ იაპონიის ჯანდაცვის, შრომისა და კეთილდღეობის სამინისტროსთან გამართა კონსულტაციები, რათა ქართული მხარის მიერ მოწოდებული ლაბორატორიები ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო იაპონიის ყველა შესაბამის ორგანიზაციასა და სტრუქტურაში.

რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებებისა და ტექნიკური დეტალების დაზუსტების შემდეგ, იაპონურმა მხარემ საქართველოს საელჩოს მიერ მიწოდებული ლაბორატორიებიდან „საზღვარგარეთის ოფიციალური ლაბორატორიების“ ჩამონათვალში შემდეგი ლაბორატორიები შეიყვანა: შპს „ღვინის ლაბორატორია“, შპს „ნორმა“, „შპს „მულტიტესტი“ და შპს „ექსპერტიზა“.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული საქსპორტო ბაზარია, სადაც მიმდინარე წლის ბოლოს მონაცემებით ექსპორტირებულია 130 ათასზე მეტი ბოთლი ღვინო, რაც 200%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.



ქუთაისსა და წყალტუბოში რამდენიმე წლის წინათ რეკონსტრუირებულ შენობებში შესახლებული დევნილები იმ პრობლემებზე საუბრობენ, რომელთა მოგვარებისთვის ადგილობრივ თუ სახელწიფო უწყებებს არაერთხელ მიმართეს. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ადამიანები, რომლებიც საცხოვრებელ ფართსა და უსაფრთხო საცხოვრებელ პირობებს ორი ათწლეული ელოდნენ, ამბობენ, რომ ასევე არასწორად მიაჩნიათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციების სხვა სამინისტროებისთვის გადანაწილება, რადგან ფიქრობენ, რომ სხვადასხვა საკითხზე ერთ უწყებასთან კომუნიკაცია შედარებით მარტივი იყო.

ქუთაისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის შენობაში შესახლებული დევნილები მათი საცხოვრებლის მახლობლად მდებარე ამორტიზებული სპორტული დარბაზის რეკონსტრუქციას ან დანგრევას ითხოვენ. დევნილების თქმით, სახსრავადახდები დარბაზი ნელ-ნელა იშლება და ადამიანები - განსაკუთრებით, ბავშვებს, საფრთხეს უქმნის:

„აქ იყო კალათხურთის სათამაშო, მოდიოდნენ ახალგაზრდები და თამაშობდნენ. ერთხელ ქარმა დააზიანა სახურავი, გადახადა და ყველაფერი გაფუჭდა“.

„კედლები ინტრევა, ბავშვები არიან ეზოში, შემოდიან აქ, ბევრს დამალობანას და სხვა თამაშებს თამაშობენ. ჩვენ გვეშინია თავზე არაფერი დაეცეთ და საფრთხე არ შეექმნათ და ვითხოვთ ყურადღებას“.

„თუ შენობა აღდგება და დარბაზი გაკეთდება, კარგი იქნება. ახლა ყველაფერი ცვივა, წყალი ჩადის და როცა წვიმაა, წყალი დგას“, - ამბობენ ლესელიძის ქუჩაზე მცხოვრები დევნილები.

პრობლემები აქვთ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე მცხოვრებ დევნილებსაც, რომლებსაც ბინები 2014 წელს გადაეცათ და დაუკანონდათ. ყოფილი მუსიკალური სკოლა-ინტერნატის ოთხსართულიანი შენობაში სხვადასხვა ფართის ბინა 68 ოჯახმა მიიღო, თუმცა მათი ნაწილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულნი განსახლების სამინისტრომ მალევე სხვაგან გადაიყვანა. კორპუსის პირველ სართულზე მცხოვრები ეკატერინე პურტაია ამბობს, რომ ბინის მიღებიდან ერთ წელიწადში კედლებმა დაშლა დაიწყო, დაიწყო იატაკმა და წვიმის დროს წყლით იფარება: „თავიდან გან-



ნდა პატარა ბზარები, შემდეგ გაფართოვდა და კედელი დასცილდა კედელს და გადაიხარა, საცხოვრებლად საშიშია. როცა ბავშვები ფოიეში თამაშობენ, ძალიან მეშინია. დევნილთა სამინისტრომ, მესამე წელია, გადამიყვანა ბინაში და მისდის ქირას, მაგრამ როდემდე უნდა ვიყო ქირით? ყველა უწყებას მივმართე, მხოლოდ სასამართლო დამრჩა და დაველოდები ორ კვირას, შემდეგ სარჩელს შევიტან სასამართლოში. მე საკუთრებაში გადმომცეს ერთთახიანი ბინა 2014 წელს, მინდოდა, მეცხოვრა ჩემს ბინაში. ასეთ დანგრეულ ბინაში, ვირობები რომ დარბიან, როგორ ვიცხოვრო და ვამყოფო ჩემი შვილი?“

სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, ყოფილი მუსიკალური სკოლა-ინტერნატის შენობიდან გრუნტის წყლების მოსაცლილებლად აუცილებელია მოეწყოს სადრენაჟო სისტემა, რომლისთვისაც სპეციალურად უნდა შემუშავდეს პროექტი, ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური კვლევის საფუძველზე. დევნილები ამბობენ, რომ სარემონტო სამუშაოებისას დაშვებული შეცდომები და ხარვეზები თავად მშენებელ კომპანიას უნდა გამოესწორობინა, რაც არ გააკეთა, თუმცა პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია. ამ შენობაში განსახლებული დევნილები დახმარებას ქუთაისის მერიისგან ითხოვენ.

ქუთაისის თვითმმართველობის დახმარების იმედი აქვთ სოფელ ქვიტირში მცხოვრებ დევნილებსაც. 5 წლის წინათ აშენებულ 35 კოტეჯში მცხოვრებნი ამბობენ, რომ მათი დასახლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ექვემდებარება, თუმცა გაცილებით ახლოსაა ქუთაისთან და სურთ ქალაქის მუნიციპალური სერ-

ვისებით სარგებლობდნენ, მათ შორის ქუთაისის შიდასაქალაქო ტრანსპორტი ემსახურებოდა დასახლებაში მცხოვრებ ათეულობით ოჯახს.

„უბრველესად გვინდა, რომ მიკროავტოუსები, რომლებიც ავტოქარხნის საავადმყოფოსთან მოდიან ბოლო გაჩერებაზე, მოვიდნენ ჩვენამდე, რადგან ამ სიციხეში გაჩერებამდე გავდივართ ფეხით კილომეტრზე მეტს. გვინდა, ქუთაისის ვეპუთენოვანი სიახლოვის გამო. ამჟამად ვეკუთვნი წყალტუბოს და გამგეობაში რაიმესთვის როცა მივდივართ, რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა გვინევს“, - გვითხრა კოტეჯების დასახლებაში მცხოვრებმა.

ზაფხულში გაუსაძლისი სიცხისა და ზამთარში სიცივის გამო დახმარებას ითხოვენ წყალტუბოში 2011 წელს აშენებულ ათ მრავალბინიან კორპუსში მცხოვრები დევნილები. მათი ინფორმაციით, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობების თბოიზოლაცია დღემდე ვერ მოხერხდა, არაერთი მიმართვის მიუხედავად. დევნილთა განცხადებით, მათ დახმარებისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასაც მიმართეს: „სახლები არასწორად იყო ნაშენები, ზაფხულში სიციხეა და ზამთარში - სიცივე, გინდ გარეთ ყოფილხარ, გინდ სახლში. ანალოგიურად ნაშენი ყველა სახლი შეფუთეს, მხოლოდ ჩვენი კორპუსები დარჩა. გვირდებოდნენ დღეს-ხვალ... და 6 წელი გავიდა. ბოლოს წყალტუბოს გამგეობას მივმართეთ და დაგვირდნენ, რომ გააკეთებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია“.

„კორპუსების შეფუთვის პრობლემა მწვავედ დგას წერილობით მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს, რომლის დაქვემდებარებაშია ჩვენი კორპუსები. ადგილობ-

რივ მუნიციპალიტეტს მარტო არ შეუძლია, ეს პრობლემა მოგვიგვაროს და დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშაა კორპუსების შეფუთვის საკითხი“.

ქუთაისსა და წყალტუბოში მცხოვრები დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გაუქმებისა და მისი ფუნქციების სხვა სამინისტროებისთვის გადაცემის გამოც. დევნილები მიიჩნევენ, რომ პრობლემების მოსაგვარებლად სხვადასხვა უწყებასთან ურთიერთობა გაუჭირდებათ:

„სხვადასხვა სამინისტროს ფუნქციები რომ გადაუნაწილდა, ვის უნდა მივმართოთ, ისიც არ ვიცით წინასწარ. მე ვფიქრობ, სამინისტრომ ჩვენს აფხაზეთში დაბრუნებამდე უნდა იარსებოს. ზოგიერთ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართოთ, ზოგიერთზე - მდგრადი განვითარების სამინისტროს თუ ფინანსთა სამინისტროს, ხომ უნდა ვიცოდეთ. ვინაა ჩვენი პატრონი?“

იმერეთის რეგიონში განსახლებული დევნილებისთვის უსაფრთხო და ღირსეული გარემოს შესაქმნელად, რამდენიმე თვეა, სპეციალურ პროექტსა და ადვოკატირებას ახორციელებს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“. ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ხვიჩა ვაშაყმაძის განცხადებით, ქუთაისსა და წყალტუბოში არსებული დევნილთა დასახლებებში შექმნილი პრობლემების დიდი ნაწილის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა და მერიებს ინფორმაცია უკვე მიანდეს: „ჩავატარეთ კვლევა, თუ რა პრობლემები არსებობს დასახლებებში, შემდეგ ჩვენ შევხვდით თვითმმართველობის წარმომადგენლებს საქართველოს ოთხ ქალაქში: ქუთაისში, წყალტუბოში, სენაკსა და ფოთში, სადაც პროექტი მიმდინარეობს. თვითმმართველობები ინფორმირებულნი არიან დასახლებების პრობლემებზე. მე მიმანია, რომ დევნილების, ჩვენი და თვითმმართველობების აქტიურობით ასეთი საკითხები მალე მოგვარებადია და მუნიციპალიტეტები დროულად მოახდენენ რეაგირებას“.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“, წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მათ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ და მოკლე დროში მოგვარდებას დევნილთა დასახლებების პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც განსაკუთრებული ფინანსური ხარჯები არ სჭირდება.

თათა კაჭაჭიშვილი

ერთად ვიაროთ სივილიზებული სახელმწიფოსკენ!

ამ დღეებში კრებულის სახით საზოგადოება გაეცნობა უნიკალურ პროექტს – „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“. ეს არის პროგრამული თეზისების სახით ჩამოყალიბებული კონცეფცია, თუ როგორ უნდა დავაღწიოთ თავი არსებულ რეალობას და როგორ მივადინოთ ხალხის, ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობას, ურომლისოდაც ქვეყანაში პოზიტიური შედეგების მიღწევა შეუძლებელია.

ეს კონცეფცია მეტად აქტუალურია დღეს, ე.წ. „ეროვნული ყრილობის“ ჩატარების კვირაძალზე, რომელმაც თავისი არსითა და შედეგებით ფორმალურად დააკინა ყოველთა ქართველთა და საქართველოში მცხოვრებთა საყოველთაო ყრილობის იდეა და კიდევ ერთი დარტყმა მიიყენა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტს. ბუნებრივია, აუცილებელია ე.წ. „ყრილობის“ იდეისა და მისი შედეგების ობიექტური შეფასება, თუმცა, მანამდე მკითხველს ვთავაზობთ წინასიტყვაობას კრებულიდან „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შექმნის ჩვენს ჩანაფიქრზე.

თქვენ წინაშე განსახილველად გამოგვაქვს „ქართული ერთობის დარბაზის“, „საქართველოს ხალხთა ასამბლეისა“ და „მეცნიერთა კონგრესის – ეროვნული თანხმობისთვის“ მიერ მომზადებული კონცეფცია: „გზა – ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“.

„გზა – ცივილიზებული სახელმწიფოსკენ!“ ეს არის ჩვენი ხედვა, ეს არის სწრაფვა ისეთი რეალობისკენ, სადაც დაცულია სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები, სადაც მიღწეულია ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა, სადაც მეფობს სიყვარული. ამის მისაღწევად ეპოქა გვაავალდებულებს, ვიართოთ არა კუს ნაბიჯებით, არამედ ირმის ნახტომით.


წინამდებარე კონცეფცია სწორედ ამის მცდელობაა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ

მოგვეცა საშუალება, გვეშუავეს ხსენებული კონცეფციის საბოლოო რედაქციაზე.

ელექტრონულ სივრცეში წარმოდგენილი კონცეფციის ათდღიანმა განხილვამ ცხადყო, რომ საზოგადოების მხრიდან ინტერესი დიდია. ეს ინტერესი განპირობებულია იმით, რომ წინამდებარე პროექტი ადრინდელისგან არსებითად განსხვავებულია – განსხვავებულია იქედნად, რამდენადაც დღემდე ქვეყანა ქუჩის აგროსიით იმართებოდა, რამაც უმძიმეს შედეგებამდე მიგვიყვანა. ამას ადასტურებს ამ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებიც.

ვფიქრობთ, რომ განხილვა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ჩვენი მხრივ, კონცეფციის წარმოდგენილ რედაქციას მივანვიძლით სახელისუფლებო ვერტიკალს, დაეგზავნება სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. განთავსდება ელექტრონულ სივრცეში, რომ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მედიის წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდეთ, გაეცნონ და გამოხატონ საკუთარი პოზიცია.

წინამდებარე კონცეფციის მიმართულების კონცეფციის საჯარო განხილვა პირველად ხდება ქართულ პრაქტიკაში. წინამდებარე ინიციატივა ისიც, რომ შემოსული წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვა-გა-



აზრებაში წინამდებარე კონცეფცია საერთო-სახალხო დოკუმენტად აქცია.

შემოსული წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონცეფცია უკვე ნიგნის ფორმით მიენოდება საზოგადოებას.

კონცეფციის აქტუალობიდან გამომდინარე, სარედაქციო-საკონსულტაციო ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაევიქსირებინა საკუთარი პოზიცია. ვერძოდ: ხშირად გვესმის, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო ვერ შედგა, რომ სამი ათეული წელია, ქვეყანა გარეშე, ანტი-ქართული ძალების კარნახით იმართება, რომელიც ებრძვის ყოველივე ქართულს და საფრთხეს უქმნის ჩვენს იდენტობას.

აქსიომაა ისიც, რომ მიუხედავად მრავალგზისი მცდელობისა, ვერ იქნა და ვერ მივალწიეთ ხელოვნურად დაპირისპირებული ჯგუფების გაერთიანებას საერთო მიზნის გარშემო – დღემდე ვერ შედგა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა.

ალბათ, ოპონენტები გვისაყვედურებენ, როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებასთან ერთობა, რომელმაც კოპაბიტაცია გამოაცხადა და დასაშუალებრივ სახელისუფლებო ძალებთან და ქვეყანას მუდმივი დესტაბილიზაციის რეჟიმში ამყოფებს?!

გიპასუხებთ: ჩვენს ტრიადში – ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობა, გააზრებულია ზოგადი პოსტულატი, რომლის გარეშეც

ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია.

დრომ დაადასტურა: საქართველო, როგორც სახელმწიფო რომ გადარჩეს, აუცილებლად უნდა იართოს საკუთარი, ქართული გზით, თუმცა „ქართული გზა“ სულაც არ ნიშნავს ქვეყნის იზოლაციაში მოქცევას და ეპოქის (გლობალიზაციის) გამოწვევების უგულებელყოფას – პირიქით, ქართული გზის არჩევა საშუალებას მოგვცემს, შევინარჩუნოთ ეროვნული სხე და ხარკიც გადავსადოთ გლობალიზაციის გამოწვევებსაც – შევინარჩუნოთ ის, რამაც საქართველო დღევანდლამდე მოიყვანა და დანარჩენი სამყაროსგან მივიღოთ ის, რაც საფრთხეს არ შეუქმნის ჩვენს სულიერ და ფიზიკურ არსებობას!

დაიხ, ქართული გზა ეს არის – გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ!

ეს რომ ორიგინალური პროექტია, დაადასტურებს შეკრების მასშტაბები, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება.

პირდაპირ ვიტყვი: წარმოდგენილ მასალებს არა აქვთ სრულყოფილების პრეტენზია. პირიქით, იგი თქვენგან გონივრულ გააზრებას, ჯანსაღ ოპონირებას მოითხოვს, რომ კიდევ უფრო დავხვეწოთ და საბოლოო სახე მივცეთ მას.

ერთი რამ კი უდავოა: ასე გაგრძელება აღარ შეიძლება – ერთი მთელისგან შემდგარი ფორმალურად ორი პოლიტიკური ძალის კატა-თავგობანას თამაში ქვეყანას ხეირს არ მოუტანს, საჭიროა სერიოზული სისტემური ცვლილებები და ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირება, რომლის საბოლოო მიზანი „მთავარში – ერთობა, სადაოში – თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული იქნება“.

ერთად ვიართო ცივილიზებული სახელმწიფოსკენ!

ზაურ ნაჭყვიანი, სარედაქციო-საკონსულტაციო ჯგუფის სახელით

მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია, აირჩიოს პრობლემით ბაზარზე გასვლა ან პროფესიული განათლების მიღება

საბაზისო საფეხური სკოლაში 9-წლიანი ნასვლად. შეიძლება, 10-წლიანი გასდეს

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მია მიმინოშვილის აზრით, უმჯობესია, საბაზისო განათლება სკოლაში 9 წლის ნაცვლად, 10 წლით (10 კლასით) განისაზღვროს. ასევე, გაცილებით ლოგიკური იქნება გამოსაშვები გამოცდების აღნიშნულ საფეხურზე გადატანა. ჯერ კიდევ გიორგი მარგველაშვილის მინისტრობისას აპირებდნენ აღნიშნულ ბრიტანულ მოდელზე გადასვლას, რაც საავალდებულო საშუალო განათლების 10-კლასიან სისტემას გულისხმობდა, ხოლო შემდგომი ორი წელი განუთვნილი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტისთვის მოსამზადებლად. იმდროინდელი მოდელით, მოსწავლეს შეეძლო 10 კლასის შემდეგ მუშაობა დაეწყო, ან პროფესიულ სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. განათლების სფეროს მესვეურები იმთავითვე აცხადებდნენ, რომ საავალდებულო 9-წლიანი სწავლების 10-წლიანით ჩანაცვლება საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების რჩევა იყო. დღეს რა პერსპექტივა აქვს 10-წლიანი საბაზისო სწავლების შემოღებას?!

კომალციანი „განათლება ყველასათვის“ თავმჯდომარე ირინე ხანთაძე For.ge-სთან საუბარში 10-წლიან საბაზისო სწავლებას მიესალმება და მიიჩნევს, რომ განათლების საფეხურის ათ წლამდე აწევა გონივრული გადაწყვეტილება იქნება. ირინე ხანთაძის აზრით, მარტივად რომ ვთქვათ, ამ დროისთვის, ანუ მე-10 კლასისთვის მოსწავლე უკვე ქმედუნარიანია, ამ პერიოდში მისი მზაობა გაცილებით უფრო მაღალია და, თუკი მას არ სურს საშუალო განათლების მიღება, თავადვე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას. „მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია, აირჩიოს შრომით ბაზარზე გასვლა ან პროფესიული განათლების მიღება. ეს 10-წლიანი სწავლების სასარგებლოდ ერთ

არგუმენტია, ხოლო მეორე არგუმენტია, რომ კურიკულუმის (საგანმანათლებლო პროგრამის) გათვალისწინებით, ბევრად უფრო გონივრულია, რომ საბაზისო საფეხური 10-წლიანი იყოს. ზოგადად, ასეთ ტენდენცია შეიმჩნევა მსოფლიო მასშტაბით და საბაზისო საფეხური სწორედ ამ წლების მოცულობითაა განსაზღვრული ყველგან, ანუ სწავლება 10-კლასიანია. სხვათა შორის, ამის შესახებ უკვე დიდი ხანია, საუბრობენ განათლების სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები. სამინისტროს შიგნითაც იმსჯელებს ამაზე და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების დროს ეს საკითხი არაერთგზის წამოჭრეს. ასე რომ, მიაა მიმინოშვილის განცხადება სულაც არ არის მოულოდნელი. უბრალოდ,

გონივრული იქნება, თუკი ამაზე დისკუსია გაიმართება. შესაბამისად, გადაწყობა ეროვნული სასწავლო გეგმაზე, რაც უკვე შემდგომი ეტაპი იქნება“, – აცხადებს ირინე ხანთაძე.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი რეზა აფხაზაძე For.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ მათი პოზიცია ყოველთვის იყო, რომ საბაზისო საფეხური 10-წლიანი გამხდარიყო, რაც საშუალებას მოგვცემდა, საბაზისო განათლების საფეხურზე გაცილებით უფრო მეტი დრო დაგვეთმო მოსწავლეებისთვის. შესაბამისად, ჩვენი ახალგაზრდების ბევრად უფრო მეტი ნაწილი დიდი ხნის განმავლობაში გაივლის სასწავლო კურსს და მეტი დრო ექნება საბაზისო დონის ასათვისებლად.


„რაც შეეხება სასკოლო გამოცდებს, ჩემი აზრით, სასკოლო გამოცდებზე მეტად უფრო მნიშვნელოვანია ეროვნული შეფასებების შემოტანა, რასაც პერმანენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეროვნული შეფასებები გაცილებით უფრო სიღრმისეული უნდა იყოს, ვიდრე ეს არის CAT-ის გამოსაშვები გამოცდები. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე შეფასებები დროულად უნდა აწარმოონ და, ასევე, სახელმწიფომ შეაფასოს, როგორ მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. ეს უფრო მეტი ინფორმაციას მოგვცემს იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც განათლების სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება არსებობდეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, შევქოთოთ პრობლემების იდენტიფიცირება იმ

დროს, როცა მათი გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება და არა 12 წლის გასვლის შემდეგ“, – მიიჩნევს რეზა აფხაზაძე.

For.ge თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორ ელიზბარ ელიზბარაშვილსაც დაუკავშირდა. მან აღნიშნა, რომ 9-წლიანი, თუ 10-წლიანი სწავლება არაფრის მანქანებზე არ არის, მთავარია, კონცეფცია როგორი იქნება.

„პირადად მე მხარს ვუჭერ დიფერენცირებულ სწავლებას, ანუ საბუნებისმეტყველო და არასაბუნებისმეტყველო საგნების შემოღებას. ეს ასეა რამდენ წელში ჩაეტყვება და როგორ ჩაეტყვება, ცალკე განხილვის საგანია და ასე მარტივი არ არის. თუ აბიტურიენტი საბუნებისმეტყველო საგნებს ირჩევს, მაშინ საბუნებისმეტყველო ძირითადი საგნები უფრო ღრმად უნდა შესწავლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჰუმანიტარული საგნები არ გაიაროს. თანაც, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დამამთავრებელ კლასებში“.

მანანა ნოზაძე



დეკანოზი ალექსანდრე თანდელიაშვილი – მოძღვარი, რომელმაც ამერიკის კონტინენტზე პირველი ქართული ტაძარი დააარსა და პირველი ალაღვინა ქართული წირვა-ლოცვა, რომელსაც დღეს უკვე სისტემური ხასიათი აქვს. მოძღვარი, რომელმაც განუსაზღვრელი როლი შეასრულა სამშობლოს მიწა-წყალს მოშორებული, უცხო მიწაზე მყოფი ქართველი ემიგრანტების ცხოვრებაში, რომელთა წინაშე იყო საშიშროება ეროვნული ხასიათის დაკარგვისა, სულიერი ღირებულებების, ტრადიციების დაკარგვისა. სწორედ ასეთი საშიშროებების თავიდან ასაცილებლად მამა ალექსანდრემ უდიდესი ღვაწლით, ნიუ-იორკში, მსოფლიოს მეგაპოლისში დააარსა პირველი ქართული ეკლესია, რომელიც წმინდის სახელს ატარებს და რომელიც გახსნიდან უკვე 15 წელს ითვლის, არსებობიდან კი გაცილებით მეტს.

სასულიერო მოღვაწეობა მამა ალექსანდრემ ამერიკაში 90-იანი წლებიდან, ამერიკულ მართლმადიდებელ ეკლესიაში დაიწყო.



ქართული დიასპორისადმი მისი მსახურებაც ამ დროიდან იწყება. ნათლავდა ბავშვებს, ასრულებდა ჯვრისწერის საიდუმლოს და ა.შ.

მამა ალექსანდრეს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკაში მოქმედი სხვა ქართული ეკლესიების არსებობაში. განსაკუთრებით დიდია მისი როლი დავით აღმაშენებლის სახელობის ქართული მონასტრის დაარსებაში პენსილვანიის შტატში – პოკონოში. ის მსახურებდა ასრულებდა აგრეთვე კანადაში, სვდებოდა ქართველ მრევლს, ისდიდა მათთვის პარაკლისებს და ქადაგებდა.

ერთხელ პირად საუბარში თქვა, „საქართველოზე ფიქრით ბევრჯერ გამღვიძებია და თავზე ისე დამთენებია, ვერც გამიძვია“.

ბოლო დღეებში კი მამა ალექსანდრე სოციალურ ქსელში გაუგონარი ცილისწამების მსხვერპლი გახდა. ჩვენი საუბრის თემაც და მიზეზიც სწორედ საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენები და მის მიმართ სოციალურ ქსელში გავრცელებული ცილისწამება გახდა.

– **საუბარი ცოტა შორიდან** – ამერიკაში თქვენი მოღვაწეობის საწყისი პერიოდიდან დაიწყო, რაც, ალბათ, უამრავ სირთულესთან იყო დაკავშირებული...

– სირთულეები, რა თქმა უნდა, იყო, რადგან სასულიერო მოღვაწეობის დაწყება აქ ორჯერ უფრო რთულია. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში როცა მოძღვარი ხარ, ეკლესიის პრობლემა არა გაქვს, ხარ რომელიმე ეკლესიაზე მიმაგრებული და ყოველთვის არ გინდა ზრუნვა და ნერვიულობა – ძირა როგორ გადაიხადო. საქართველოში ეკლესიები საპატრიარქოს ეკუთვნის და არაფერს ნაგართმევს. მაგრამ აქ? აქ გაცილებით რთულია, ყველაფერზე გადასახადია დაწესებული და თუ არ გადაიხდი, ვინ გაგაჩერებს? შენობის აღებაც არ არის ადვილი, ბიზნესისათვის უფრო ადვილია ძირაობა, ვიდრე ეკლესიისათვის. გამქირავებელს არ უნდა შენობაში ეკლესია ჰქონდეს, ვინაიდან ხალხი იმძობრავებს, ხმაურს გამოიწვევენ, მეზობლები იჩივლებენ და სხვა. პირველად ვილიამსბურგში ავიღეთ ეკლესიისთვის შენობა. კარგი ადგილი იყო. ერთი ოთახი გვექონდა ნაქირავები, მაგრამ მთელ შენობას ვიყენებდით. ამაში დიდი დახმარება მიუძღვის კათოლიკე მამა რიჩარდს, რომელიც იქ მსახურობდა. ინტელიგენტი, განათლებული და ზრდილობიანი კაცი იყო. ყველანაირად გვეხმარებოდა და მხარში გვედგა. სხვა არც ვაგვიანებდა, რადგან მოგვასვენებდა ჩვენი, ქართველების ამბავი – ხმაურს არ ვაკლებდით. ვილიამსბურგში მისვლამდე მეორე ქუჩაზე საკათედრო ტაძარში გვექონდა კუთხე და იქ ვატარებდით მსახურებას 10-12 წლის განმავლობაში. თქვენ, ალბათ, შემეკითხებით, 12 წლის განმავლობაში რატომ ვერ მოახერხეთ ქართული ეკლესიის გახსნა? მაშინ არ იყო ბევრი ქართველობა. უამრავი პრობლემა იყო. ხან მაგალობეთ არ მყავდა, ხან მედავითნე, მრევლიც ვერ ახერხებდა მოსვლას. მახსოვს, პირველად 25 კაცი მოდიოდა. ზოგჯერ კი 2-3 ადამიანი იდგა წირვაზე. მიუხედავად ამისა, წირვა-ლოცვის ჩატარება არ შეგვიწყვეტია. ნელ-ნელა მოიმატეს ქართველებმა რიცხოვნობიდან და 2002 წლის გიორგობის დღესასწაულზე 80-ზე მეტი ადამიანი მოვიდა. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ უნდა გვეფიქრა ქართული ეკლესიის გახსნაზე. ეს, როგორც გითხარით, ადვილი არ აღმოჩნდა. ხალხმა კი მოიმატა, მაგრამ მარტო ხალხი ხომ არ არის მთავარი? შემოწირულობა თუ არ იქნებოდა, ეკლესიის არსებობა შეუძლებელი იყო. იქ იჯარაა გადასახდელი, იქ კომუნალურები, ყველაფერი ფინანსურად მიდიოდა, მაგრამ მაღლობდა უფალს, მრევლთან ერთად ყველაფერი შეეძლებოდა. თავიდან ხალხი პესიმისტურად განეწყო ქართული ეკლესიის გახსნის შესახებ. ისინიც კი, საქართველოში ყოფნის დროს მაზიარებლები, წინააღმდეგი იყვნენ ქართული ეკლესიის გახსნის.

– **რატომ, მიზეზი რა იყო?**

– მიზეზი იყო ის, რომ ამბობდნენ, აქ დიდი ხნით დარჩენას არ ვაპირებთ, ჯობია, ნაქირავებში ვიაროთ და თუ თანხას შევაგროვებთ, საქართველოში გადავბავნოთ. ეს ცუდი აზრი არ იყო. ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე გეტყვით – ჩვენი ეკლესია 25 წელია, ქვემოქმედებას ეწევა – საქართველოში მონასტრებისათვის დახმარების სახით 450 000-მდე გვაქვს გაგზავნილი კერძო პირებისათვის. ვის მედიკამენტების ფული არ ჰქონდა, ვის მკურნალობისა და ოპერაციის, ვინ მრავალშვილიანი იყო და მიუსაფარი. დღემდე ვაგზავნებთ როგორც თანხით, ისე ტანსაცმლითა და საყოფაცხოვ-

„თუ ეს ყველაფერი კარბის, რატომ ხე – ამერიკაში არაა დაუშვებელი?“

ინტერვიუ ამერიკაში მოღვაწე ქართველ მოძღვართან, რომელსაც სოციალური მედიის საშუალებებით ბინძური ცილისწამების მსხვერპლი გახდა

რეზო ნივთებითაც კი. ზაფხულობით საქართველოში ჩემ ჩასვლას ვამთხვევთ და ჰუმანიტარულ აქციებს ვმართავთ, რის შესახებაც ინფორმაციები იბეჭდებდა საქართველოს გაზეთებში და ინტერნეტგვერდებში. ქველმოქმედებით ისე გაიცნო ჩვენი ეკლესია ხალხმა, რომ პირადად მთხოვენი ადამიანები დახმარებდა. ამ ბოლოს უნარშეზღუდულ ახალგაზრდა კაცს დავხმარეთ გადაადგილებაში საჭირო ეტლის შექმნაში. სექტემბერში ჩავიღვივარე საქართველოში და მეგ დროისათვის ვგეგმავთ ჰუმანიტარული აქციის ჩატარებას – მიუსაფარ ბავშვთა სახლს დავხმარებთ, რომელსაც უკვე გაუწიეთ დახმარება რამდენჯერმე. აქაც ბევრი იყო გაჭირვებული, ვისაც გვერდში დაგვიდგო: უმუშევარი და ქუჩაში დარჩენილი ქართველი...

– **ცოტა ხნის წინათ სოციალური ქსელით გავრცელდა ცილისწამებულური დებინფორმაცია თქვენ შესახებ, რომლის თანახმადაც, თითქოს თქვენ იყავით შიო მენაბდე და თქვენი შვილი ხორავას ქუჩის ტრაგედიაში ფიგურირებდა. ფოტოზე, რომელიც გავრცელდა, შიო მენაბდის ნაცვლად თქვენ ხართ წარმოდგენილი, თანაც „ოცნების“ ლოგოიან ტორტთან ერთად...**

– რა თქმა უნდა, ეს ფოტო ცუდ კონტექსტში გამოიყენეს. არავითარ შემთხვევაში, არა ვარ არც „ოცნების“ და არც სხვა რომელიმე პარტიის მხარდამჭერი. როცა „ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, 90%-ს გაუხარდა და მეც მათ შორის. რაც შეეხება ტორტს, რესტორანში ვიყავით ნათლობის შედეგ. იმავე რესტორანში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ზეიმობდნენ „ოცნების“ გამარჯვებას. თქვენ იცით, რომ აქ ყველა მიცნობს – დიდც და პატარაც. დამიძახეს და შემომთავაზეს, რომ მე გამეჭრა ტორტი. ცივი უარი ვუთხარი, ვუთხარი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. იქ იყვნენ შეზარხოშებული ადამიანები, რომლებიც არ მომეშენენ, შემომხევივნენ და მეც ანგარიში გაუწიე. თუმცა, არ ვნანობ, რომ ტორტი გავჭერი, რადგან არაფერი დამიშავებია. ტორტის გაჭრა არ ნიშნავს იმას, რომ „ოცნების“ მხარდამჭერი ვარ, ან სხვა პარტიისა. მე ვარ მხარდამჭერი უფლის მოძღვრებისა და ყველა იმ ადამიანისა, ვისაც საქართველოსათვის კარგის და კეთილის გაკეთება უნდა. უბრალოდ, ბოროტმა ადამიანებმა ცუდად გამოიყენეს ეს. დღეს ყველა ნორმალურ ადამიანს ლანძღავენ და ათასნაირ სიბინძურესა და სიცრუეს იძახიან და რა გასაკვირია, რომ ჩემზეც ცუდი თქვან? ისედაც არ მაკლებენ თქმას და ლაპარაკს, მუდმივად ტალახს მესვრიან, ისროლონ, მათთვისვე იქნება ეს ცუდი. მე ვინა ვარ და რო-

გორ მიცხოვრია, ვინც მიცნობს, ყველამ იცის. ვიმეორებ, არც მეოცნებების მხარდამჭერი ვარ და არც ნაციონალურის. რაც შეეხება ჩემს აქციაზე სიტყვით გამოსვლას და ჩემი შვილის მკვლელობაში მონაწილეობას, აბსოლუტური სიცრუეა, ან საიდან მოიტანეს? მე ერთი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ და ჩემი ბიჭიც რამდენიმე წელია, არ ვყოფილა. ჩემი მრევლის წევრები დაუკავშირდნენ საქართველოში დებინფორმაციის გამავრცელებლებს და სთხოვეს, სიმართლე დაენერათ და ეთქვათ, რომ ფოტოზე მე ვიყავი და არა შიო მენაბდე. მათ უნდასუსეს, ვიცით, რომ მამა ალექსანდრეა და არა შიო მენაბდე, მაგრამ ასე არის საჭირო. რა გამოდის? იმასაც გეტყვით, რატომ გადაამევიდნენ ნაციონალური და მათი მხარდამჭერები. როგორც გითხარით, ორ წელზე მეტი დავგჭირდა, ყველაფერი რომ დავგვემთავრებინა და ეკლესია გაგვეხსნა. აღარ იყო თანხის საშუალება. ივანე შვილის ყურამდე მიადნია ჩვენმა პრობლემებმა და რომ გაიგო ნიუ-იორკში ქართული ეკლესია იხსნებოდა, 450,000 დამოგვირიცხა. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ნაციონალური მტრად გადაამკიდებოდნენ.

– **ყველაფერი იმის ფონზე, რაც ხდება საქართველოში, უმძიმესი სოციალური მდგომარეობიდან დაწყებული, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაში და ლგტბ-ებზე ზრუნვაში კრიზისიდან გამოსვლის გზა?**

– ვერ გეტყვით, რისი პოვნა და მიღწევა უნდათ, იმას კი გეტყვით, რომ, სადაც მარიახუანის ლეგალიზაცია მოხდა, სიკეთე არსად არ მოუტანია, პირიქით. მგონი, კოლორადოს შტატში მოხდა მარიახუანის დეკრიმინალიზაცია და ყოველი დღის ნიუტონში გადმოცემდნენ, რომ 11%-ით მოიმატა საგზაო შემოსევებმა. ან რომელ ქვეყანას მოუტანა სიკეთე, ჩვენ რომ მოგვითანოს? ეს ყველაფერი კარგი თუ არის, რატომ აქ ამერიკაში არ არის დაშვებული?

შპრიხაუნი მამა ალექსანდრეს ბიოგრაფიიდან:

მამა ალექსანდრე პატრიარქის აღზრდილია, 1978 წლიდან პატრიარქთანაა, 21 წლისა იყო, როდესაც უწმინდესის სტიქაროსანი გახდა. ამბობს, რომ ეს პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მის ცხოვრებაში. 1982 წელს დაამთავრა სასულიერო სემინარია. შემდეგ კი სწავლა გააგრძელა ლენინგრადის (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) სასულიერო აკადემიაში, სადაც ოთხი წელი სწავლობდა. იქიდან დაბრუნების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო მეტეხის სასულიერო სემინარიაში, სადაც ორი წელი დაჰყო. ამის შემდეგ კი უწმინდესის კურთხევით წავიდა ამერიკაში, სადაც სწავლა გააგრძელა წმ. ვლადიმირის სასულიერო სემინარიაში ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, დაქორწინდა და აკურთხა კიდევე უწმინდესმა ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად აქვს სამეცნიერო ხარისხი – არის დღისმეტყველების მაგისტრი.

ლელა ჭელიძე, NEWSPRESS-ის საინფორმაციო ბიურო ამერიკა-კანადაში

დღეს რეზო ლალიძის 97-ე დაბადების დღეა!

დღი რეზო, სრულიად საბარტოველს, მთელი ხალხის მხარდობით უსამართლოდ რომ აღიარეს ამ 10-15 წლის წინ, სავსებით დასაბუთებულად და საბარტოველად!

ერთხელ კი გავიხსენებ მასთან ურთიერთობას და, უპირაინი იქნება, თუ დღეს ერთად შევეკრავ ორ მოგონებას. ...ბედნიერი ვიყავი და ვარ იმით, რომ მასთან მკავშირეობა სიახლოვე. მეგობრობა - არა! უფრო სხვა, ასაკობრივი სხვაობიდან გამომდინარე, უფრო მამაშვილური ურთიერთობა, რომლითაც „ესარგებლობდი“ კიდევ. ზოგჯერ შეხუბრებითაც (არა ფაშილიარობით), გვიან დარეკვის უფლებით, სადმე (რა თქმა უნდა მისთვის სასიამოვნო წრეში) დაპატივებით... მის ზარს, თხოვნას, დაველებას, რეკომენდაციას კანონის ძალა ჰქონდა ჩემთვის, რამეთუ კარგად მქონდა გააზრებული, ამ ნაბიჯის უკან ან მავანის ნიჭიერება იდგა (რომელსაც დიდოსტატის თვალს და სმენს უყოყმანოდ ამჩნევდა) ან ისეთი ტკივილი, გაჭირვება-მოთხოვნილება, რომელიც აძილებდა კეთილშობილებით აღსავსე და ერთობ გულჩვილ ადამიანს, საქართველოს მამინდელი პარლამენტის დეპუტატს, „რკინის ქალამნები“ ჩაეცვა და ნებისმიერი, მათ შორის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი მოურიდებლად შეენუხებინა.

თავდაცვ უყვარდა და სიამოვნებდა ხელის გამართვა, თხოვნის შესრულება, მოფერება, გამხრევა... აკი ვთქვი ზემოთ, ახალგაზრდული წლებიდან „ესარგებლობდი“ მისი ამ თვისებით და შეკლული მყავდა ხელში: ამა თუ იმ კონკურსის ჟიურის წევრობა, რომელიმე ნიჭიერი ჭაბუკის მოსმენა და მისთვის რჩევების მიცემა, ახალგაზრდულ შეკრებებზე სტუმრობა და ასე შემდეგ: მაშინ ხომ სისტემატურად ტარდებოდა სახეიშო თუ ღირსშესანიშნავი თარიღებისა და იუბილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები... უარს არასოდეს გეტყვია, ოღონდ...

აი, ეს ოღონდ არის მთავარი. თუ სანადიროდ ან სათევზაოდ აპირებდა წასვლას და შენი თხოვნის შესრულებას შეეძლო ამ „წმინდა“ საქმისთვის ხელისშეშლა, განწირული იყავი შენც და შენი თხოვნაც. გამორიცხული იყო მისი დათანხმება. უკვე მისი „მტერი“ იყავი და შეიძლებოდა „გამოგეტყუა“ შენი პიროვნების ისეთი შეფასება, რომელთაცანაც ყველაზე რბილი და უწყინარი იყო სიტყვა „დიდიტო“... ნამეტანი შინაური უნდა ყოფილიყავი, ნამეტანი ახლობელი და საყვარელი, რომ ეს „წოდება“ დაგემსახურებინა. ერთი სიტყვით, სანადირო-სათევზაოდ გამზადებულ რეზოს ვერავითარი ძალა ვერ შეაძვლევინებდა გადაწყვეტილებას, რამეთუ ის სულელირად მდიდრდებოდა ბუნებასთან უშუალო შეხებით, ის იყო მისი შემოქმედების წყარო, ბუნების ჰანგებით საზრდობდა მისი შთაგონება, მისი მუსიკა, მისი სიმღერები...

და მაინც, იყო ერთი შემთხვევა (რომელზედაც ერთხელ კი მოვეყვი, მაგრამ ახლაც უპირაინა მისი გახსენება), როცა ბუზღუნით, ჩემი პიროვნების მისეული „შემკობით“ გულმოხსენებულმა უარი თქვა სათევზაოდ წასვლაზე და როიალს მიუჯდა...

„ნიმნი დეაენას“

1977 წლის შემოდგომაზე აღინიშნებოდა სულწინათ იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის“ იუბილე. მას შტაბი დიდი. ემოციებით, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე დღეები და... ფინალი: ფილარმონიის დარბაზში დიდი საიუბილეო საღამო.

წინა დღით გენერალურ რეპეტიციას ვატარებთ. რა თქმა უნდა, ველავ, პასუხისმგებლობა ჩემზე და ჩემ გუნდზე. რეჟისორი, ასეთი დღე-სასწაულების განუმეორებელი დამდგმელი ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე ჩვეულებრივ სტიქიაშია, თან მამშვიდებს, თან სიურპრიზებით „სუნძლავს“ პროგრამას - რიტმი ჩინებულია, სილალე, განათება მშვენიერი, ლექსები იცოცხლებ, დეკლამატორები - ერთმანეთზე უკეთესი, გულში ჩამწვდომი სიმღერები მთლიანად საქართველოდან, მშობლიური ბუნების უღამაზესი კადრები... თითქოს ყველაფერი ნქარნივშია თითქოს წარმატება გარდუღალი იქნება. მაგრამ... აკვირებულად მანუხებს იმის ფიქრი, რომ რალაც მარალი მაინც აკლია ამ „ფინალურ აკორდს“...

„გამოუტყდი“ ჩემს მოადგილეს, ჩემს მეორე „მეს“ - თემურ ჟღენტს, მერე „შეგებდე“ ბიჭიკო ჩხეიძეს და... სამივემ თითქმის ერთად, დანანებით „ვალარეთ“, რომ ის „მარალი“, რომელიც აკლია აქაურობას და რომელზედაც „გუნუნებ“, არის... სიმღერა „დედაენაზე“ - კონკრეტულად და ზოგადად - მშობლიურ ქართულ ენაზე... ჩხეიძემ მოკლედ მოჭრა: მორჩით ფანტაზირობას, არ არსებობს ასეთი სიმღერა და მე

საიდან გავაჩინო... ეს ერთი და, მეორე, (დამარცვლით) უკვე გვიან არისო... - მართლაც ამბობსო, ნოდარ-ბატონი, დაემონმა თემურ ჟღენტს და მუდარით მიჩურჩულა, ნუ არევი ამ აწყობილ საღამოსო... აღარაფერი მითქვამს, უკვე საკმაოდ გვიანი იყო და სამსახურში დავბრუნდი.

...შუალამეს ცოტა აკლია და ვურეკავ ჩემს უფროს მეგობარს რეზო ლალიძეს. ტრადიციული ბოლიში, გვიანი ზარისა გამო... მამშვიდებს, არაფერია, არ მეძინა, სათევზაოდ მივდივარ, უკვე გავდიოდი სახლიდან...

ელდა მეცა: ვატყობ, ფუჭი იქნება ჩემი მცდელობა. სათევზაოდ გამზადებულ ბატონ რეზოს ახლა რომ შეგებდო დარეკვის მიზანი, არ ამცდებდა მისეული „ნაზი“ შემკობა... არ ვქტარობ, საგანგებოდ ვწელავ სათქმელს... კი მაგრამ, ვეკითხები, ხვალ „დედაენის“ იუბილეზე არ აპირებ მოსვლას? მაგ დროისთვის ფორმაში ვიქნები და, რა თქმა უნდა გესტუმრებოთ... წვერილ-წვერილად მოვუყვი როგორი საღამო იქნება, ვინ მონაწილეობს, ვინ ესწრება და ასე შემდეგ... მივდივარ კულმინაციისკენ... მიხვდა, რომ რალაც მანუხებს და: დროზე

ალბათ ბევრია დღეს ცოცხალი, ვისაც ასოსოვს, თუ რა ფურორი მოახდინა ამ სიმღერამ „დედაენის“ საიუბილეო საღამოზე.

ვიყავი ბედნიერი და ამაყი. არა მარტო იმიტომ, რომ მართლაც მაგარი, იმ დროისთვის გამოკვეთილად ეროვნული საღამოს ჩატარების და გამარჯვებისა გამო. არამედ იმისთვისაც, რომ საქართველომ საჩუქრად მიიღო გენიო-



ბუმბერაზი რეზო ლალიძე

მითხარი, რა ხდება, ასე გვიან რომ მირეკავო... ბოლოს და ბოლოს გავხედე: სიმღერა აკლია ამ ყველაფერს და ხომ არ დანერ-მეთქი...

პაუზა... „ტკბილად შემკობის“ ნაცვლად შეკითხვა, რომელი საათიაო? შუალამე იქნება სულ მალე-მეთქი... იუბილე როდის არისო... ხვალ-მეთქი ვუპასუხე. მერე, შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარო. მკითხა... სრულ ჭკუაზე რომ ვიყო, არ დაგირეკავდი, თანაც, თურმე, სათევზაოდ გამზადებულს-მეთქი... ისევ პაუზა! და... მარ-

სის მიერ შექმნილი ჰიმნი, რომელიც ადიდებს მშობლიურ ენას.

... მეორე დღეს საჩუქრად მივიღე რეზოს ხელით შექმნილი „დედაენის“ ნოტები, სათანადო, გულსამაჩუყებელი წარწერით. რამდენადაც ვიცი მისი ქალიშვილისგან, „ჰიმნი დედაენას“ იყო რეზო ლალიძის მიერ შექმნილი ბოლო სიმღერა.

* * * ახლა კი მოგონების მეორე ფურცელი



თლა გამოუსწორებელი „ვიღაცა“ (!!!) ხარო, მაგრამ... რა ვქნა? ჩემთვის ძალიან ახლობელი... თანაც, ისეთ რამეს მთხოვო... ისე, ყველაფერს კი ვუმღერე... ქართულ ვაზს... ტყესაც... მეგობრობას... თბილისსაც... ისე, მგონი, მართალი ხარ... დედაენით უნდა დამეწყოო და... უცებ მოჭრა: კაი, ვიფიქრებო და გამოუმშვიდობებლად დამივიდა ყურმილი.

... ლამის ოთხი საათია. სამუშაო კაბინეტში ვზივარ თემურ ჟღენტთან და თანამშრომლებთან ერთად. „დარჩენილ კუდებს“ ვამთავრობა და უცებ ზარი... ვეცი დედაენის. რეზოს ხმა: გამოვიდა, შე „ვიღაცაო“ (!!!) გამოვიდაო... სიხარულისგან ენა ჩამვივარდა. გენიოსი ხარ-მეთქი, კომპლიმენტს არ ვიშურებ მისთვის. ის კი, უკვე საქმიანად: ფილარმონიაში სარეპეტიციოდ მომიყვანა მუსიკალური სკოლა-ინტერნატის გუნდს, „რუსთავს“ თავად მოვიყვანე, ანზორ ერქომაიშვილი უკვე გავაღვიძეო...

... იუბილეს დღე. დილის 11 საათია, ბოლო გენერალური რეპეტიცია. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სიჩუმეა. ნახევარი საათი დასჭირდა ანსამბლის მომზადებას, „რუსთავის“ ბიჭებს კი უფრო ნაკლები და...

„აი, ია, აი თითი...“ - გაისმა ბავშვების ტკბილი, გამაყურებელი ხმა... „ოი, დედა ენაზე!!!“... დასტყვა „რუსთავმა“... რეზოს გავხედე და... თვალბუნი ცრემლი. ნოდარ ჩხეიძეს - თვალბუნი ცრემლი... თემურ ჟღენტსაც წყლიანი თვალბუნი... მივედი და რეზოს გავავეხვიე. მიჩურჩულა: არადა, შე მართლა „ვიღაცა“ (!!!) რა თევზაობა ჩამიშალეო... მარა, ღირდა, ბიჭო, ამ სიმღერისთვის მისი გაცდენაო...

სიმღერა, რომლის ყველაზე მწაბრ უწყარაა...

... ცუდად იგრძნო თავი და მოულოდნელად წაიყვანეს საავადმყოფოში, ვაკეში, „ლეჩკო-მბინატს“ რომ უწოდებდნენ „შინაურულად“. ჩემზე უთქვამს, შეატყობინეთო... ქალბატონმა თინამ დამირეკა და...

გვიანი საღამო იყო. ამ დროს, ჩვენი გუნდი, ტრადიციულად სამსახურშია. პირველი, რაც გავაკეთე, საავადმყოფოს ერთ-ერთ მესვეურს თენგიზ ბეგიშვილს დავეურეკე... გულმა შეანუხა და ვამჯობინე, გამდგოყვეყვანა ჩვენთანო. თან, „შეთქმულივით“ დაამატა, გულოდებო!

ჩემებს ვთხოვე, სასწრაფოდ მოეგვარებინათ „ეროი დელიკატური“ საკითხი. შემდეგ რადიოს პროგრამების მორიგე რედაქტორი ვიხმე და ვთხოვე, გვიანი საღამოს ტრადიციულ გასართობ-მუსიკალურ გადაცემაში „აქცენტი“ რეზო ლალიძის შემოქმედებაზე გაეკეთებინათ. ასევე, ტელევიზიის პროგრამების გამომშვეებს რეზო ლალიძე დოკუმენტური ფილმით შეევესო პაუზა შუალამის გადაცემაში სორის და... „ლეჩკომბინატს“ მივაშურე.

... თუ ასე სწრაფად მოხვიდოდი, არ მეგონაო... მერე ეშმაკურად „მოჭულტა“ თვალბუნი და მკითხა, დავიჯერო, ხელცარიელი მოხვედით... გულთანად გამეცინა და ვუპასუხე: ეგრე მიცნობ, რომ ეგ შემეშლებოდა და „დავამშვიდე“: ჩემები მალე გამოჩნდებიან-მეთქი. თანაც, დავსძინე: ქალბატონ თინას და აქაური უფროსობის ნებართვა თუ არ იქნა, არაფერი გამოვა, მაინც „ლეჩკომბინატია“, ასი თვალი და ასი ყური, „გავიშვებენ“-თქო. თინას მე მიხვდა, „უფროსობას“ - შენო... მაგრამ მაგ „საკითხის“

მოგვარება ვისაც დაავალე, პურ-მარლის ყადრი ხომ იცისო... შალიკაშვილს ეგ არ შეეშლება, პროფესიონალია-მეთქი. ესიამოვნა, ამ საქმეში დათო მასაც გამოცდილი ჰყავდა...

ამასობაში, მოგროვდა კონსილიუმი - ამ სფეროში ვინც ავტორიტეტს წარმოადგენდა ყველა გამოიძახეს, ითათბირეს, მკურნალობის გზები დაადგინეს, პაციენტი გაამხნევეს და...

პალატა „საუფროსო“ იყო, საგანგებოდ იზოლირებულ ფლიგელში. დაერჩით „ლეჩკომბინატის“ უფროსობა - უღალატო და სულ გვერდში მდგომი ამიგო კავკასიძე, თენგიზ ბეგიშვილი და თემურაზ ანჯაფარიძე, ქალბატონი თინა, ტელერადიოს „დედაენა“ და...

პაციენტის სანდოთან სახელდასხვად გაიშალა სუფრა. შალიკაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბატონი რეზოს გემოვნებაში ჩახედულობის და საკუთარი „პროფესიონალიზმის“ მაღალი დონე.

რეზოს საყვარელი „წელში გამოყვანილი“ ჭიქებით პირველად მისი გამოჯანმრთელების სადღეგრძელო შეისვა, მერე წავიდა და წავიდა... ამასობაში ტელეგადაცემის დროც მოვიდა და... ვახშამი ყველა დაავიწყდა... გატრუნულები ვუცქერთ დოკუმენტურ ფილმს რეზო ლალიძის შესახებ.

პაციენტი აშკარად კარგ ხასიათზე დადგა, ექიმები ხუმრობენ, ფოფხაძემ მკურნალობის ახალი მეთოდი შემოიტანაო... ქალბატონი თინა აღარ აპროტესტებს „სუფრას“, იცის ზომიერებას არ ვულაღატებო...

გვიან საღამოს, როცა მასთან მარტო „ტელედესანტი“ დაერჩით, დაიწყო რადიოგადაცემა, რომელიც პირ კობახიძის პანაი ლექსზე შექმნილი და ანგელოზი დები ჩაფიქსაციების შესრულებული რეზოს სიმღერით - „გულს რად მიკლავ“ - დამთავრდა.

... შობა, ბოლო აკორდის შემდეგ, დღესაც თვალწინ მიდგას საავადმყოფოს პალატაში მწოლიარე რეზო ლალიძე, რომელსაც საოცრად დაფიქრებულ თვალბუნი ცრემლი უბრწყინავს... თითქოს, სადღაც შორს მყოფმა, მხოლოდ თავისთვის ჩაილაპარაკა: არაფერი ამაზე უკეთესი არ შემიქმნილა... ისევ გამიფრავს, თითქოს საკუთარ თავს ეკამათებოდა: არა, არა! ეს ყველაზე უკეთესი გამოშვიდაო... და, ახლა უკვე სადღაც „შორიდან დაბრუნებულმა“ თითქოს ჩვენთვის საგანგებოდ დაამატა: ყველაზე მეტად სწორედ ეს სიმღერა მიყვარსო...

ჩუმად გავიკრიფეთ პალატიდან, თავის ფიქრებთან მარტო დაგტოვეთ კაცი, რომელიც დღესაც, მრავალი ათეული წლის განსორების შემდეგ, ბატონობს ჩვენი სულიერების ყველაზე მგრძობიარე გამოსახვის სფეროში - ქართული სიმღერის უძველეს და უმდიდრეს სივრცეში.

„ყველაზე მეტად სწორედ ეს სიმღერა მიყვარსო“ - ამ გულწრფელი და ემოციური ფრაზის თქვენთვის გადმოსაცემად დაინერა ეს პატარა მოგონება. ამ ფრაზაშია განიკეთებული რეზო ლალიძის შემოქმედების ყველაზე მთავარი ღირებულება ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი. ამ „პანაია“ ფრაზაში და ამ ერთ სიმღერაშია განიკეთებული თავად რეზო ლალიძე: მლოცველი სამშობლოსადმი უკიდვანო სიყვარულზე, დაბადებული მშობლიური მიწა-წყლის, მისი უკვდავების სიმბოლოების - ბუნების, ვაზის განდიდება-გაფართობის მონოდებისთვის, მშობლიური ენის ჰიმნის შექმნისთვის, ადამიანური სიმინდების - მეგობრობის და მეგობრების, ოჯახის და ლელას სიყვარულისთვის.

წუგზარ ფიფხაძე

P.S. მისარია, რომ ამ შემოღობვამ, ალბათ, მოეხება თამი და წარბილი დასმება აუსხნელ ბაზმებობას: რისა მხყანას, ქართველკობას, ეროვნულ კულტურას ჰყავს ასეთი ბუმბერაზი კასი, რომელმაც სთამყვანებულ დედაქალაქს შეაქვან მსოფლიოში აღიარებული საპიმიტო ბარათი „სიმღერა თამილსა“, არაერთმა სხვიარაშულამ და პატიმრობაზე მნაბატლამკობა ხელისშეშლა ვერ მოახერხა შემთხვევით და უანბარითი პარბა ხნისწინანული შემხმელ-გამოსხმული აბაღმთის დირსაშული აბაღმთის შერბაშა და დაღმბა.

P.P.S. ასევე, არა მგონია ამ ბოლო ათწლეულაში დაზასაშულ მოღვაწეების მნიშვნელოვნებას და სიღიაღმისაშ შეღარბაში, თუ მბბი არა, ნააღმბაღ დირსი იყო დიდი რამო ლალიძის მთაწმინდის პანთორენო დააანბა. მისვე, რეგორს, საზოგადოების აბვირი ობიექტბრი და გულმხპრკობა წარმოგაღმბანელი ელის ობიექტბრ, დირსაშულ ბაღმყვბბიშობას, რაშა ამ წმინდა აბბბბა პატიმით მწინა ბაღმყვბბიშობაზე მბმონე საშაშის უღიაღმი საზოგადო მოღვაწე და პოეზი ირაბილი აბაღმბა, დიდი პატიმრბი მბსნიერი პაეღი ინბორმყვა, ქართული პატიმრბული ლირიბის შეღმერბაშის პატიმრი ლალო ასაბიანი... ოღმბა ხოშ უნდა მბსწამლოთ დირსაშულ წმინაბარბა ასევე დირსაშული დაზასაშა?

პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნული ძალების განსაკუთრებით „მრგვალი მაგიდა“ – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებამ, რომელსაც ფანტასტიკურსაც კი უწოდებს ზოგიერთი, მთლიანად და ერთბაშად შეცვალა მთელი რესპუბლიკის პოლიტიკური პალიტრა. ხალხის ნებით არჩეული უზენაესი საბჭოს მოღვაწეობისადმი ინტერესი განუზომლად დიდია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

აქვე უნდა ითქვას იმაზეც, რომ პოლიტიკურ რეალიტეტში ჩახედული ადამიანები მრგვალი მაგიდას წარმატებას მნიშვნელოვანწილად მიაწერენ მისი თაოსნის, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერის ზვიად გამსახურდიას პიროვნებას.

მინდა, მეთხველია ისიც იცოდეს, რომ ეს დიპლომატიკური შედეგა ქართველი ხალხის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას – პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესიის წინ, თორმეტი ნომბრის გვიან ღამით, როცა წინასასწარო სამზადისი კულმინაციას იყო მიღწეული და ყველა დებულება პირველ სადემოკრატიულ მოღვაწეობაზე ფიქრსა და საზრუნავში იყო ჩაფლული. ყოველი წუთიც კი ოქროდ ფასობდა, მით უმეტეს, ყოველივე ამის სულიწამდგმელისათვის.

– ბატონო ზვიად, უწინარეს ყოვლისა, მთელი სულითა და გულით გილოცავთ დიდ გამარჯვებას მრავალპარტიულ არჩევნებში. როგორ ფიქრობთ, ეს უკვე გამარჯვებაა, თუ მხოლოდ მისი დასაწყისი?

– მე მგონი, მართლაც კარგი გამოთქმა იმ მარტო, ვინაიდან გამარჯვებაზე ლაპარაკი ნაადრევია, სანამ საქართველო ჯერ კიდევ დაპყრობილია, სანამ იგი არ იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა. წინ დიდი სამუშაო გველის.

– ჩვენი საუბარი მიმდინარეობს ნამდვილად ღირსშესანიშნავ დროს. ცხადია, მხედველობაში მაქვს კარს მომდგარი საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სესია. როგორ შეაფასებთ თანამედროვე საერთო სიტუაციას საქართველოში?

– დიას, თანამედროვე სიტუაცია მთელი რიგი წინააღმდეგობებით ხასიათდება. ერთი მხრივ, დიდი აღმავლობა ეროვნული მოძრაობისა მრავალპარტიულ არჩევნებში, რამაც გამოავლინა ჩვენი ხალხის დიდი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი შეგნება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. მეორე მხრივ კი, ეს არის დესტრუქციული ძალები, რომლებიც, როგორც ჩანს, საბოლოოდ არ არიან კმაყოფილი ამგვარი სიტუაციით და მოვლენების ასეთი განვითარებით. მე მაინც მგონია, რომ ქართველი ხალხის უდიდეს უმრავლესობაში გამარჯვების კეთილგონიერება და მოხდება კონსოლიდაცია ქართველი ერისა, შეგნებული ქართველი საზოგადოებრიობისა და, ალბათ, წარმატებით დაგვირგვინდება ეს ბრძოლა და ეს მუშაობა, რომელიც სულ უფრო ფართო დემოკრატიულ ხასიათს იღებს. მომავალი სესია გადადგამს პირველ ნაბიჯებს საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.

– რა არის ის იდეალი, რომელსაც თქვენ წინაშე არა მარტო მთელ თქვენს ძალებს, არამედ, თამამად შეიძლება ვთქვათ, სიცოცხლესაც კი.

– ეს არის ჩვენი წინაპრების იდეალი, მთელი ჩვენი ერის იდეალი, ღვთისა და მამულის სამსახური. ასე წარმომიდგენია ჩვენი მსახურება ერის საკეთილდღეოდ, მთელი ჩვენი ძალების მობილიზაცია და საქართველოს ხსნა, საბოლოო განთავისუფლება.

– ყოველგვარ მოვლენას აქვს თავისი ზნეობრივი მხარე. როგორ წარმოგიდგენიათ მისი როლი და მნიშვნელობა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც დგას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე და რომლის მედროშეობა თვითონ ბუნებამ გარგუნათ თქვენ?

– ჩვენთვის არ არსებობს პოლიტიკა ზნეობის გარეშე. პოლიტიკა, ზნეობის გარეშე, ეს არის მაკიაველიზმი, ეს არის ტოტალიტარიზმი. ჩვენი ბრძოლა ყოველთვის დაფუძნებული იყო ზნეობრივ სანწყისებზე, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნული უფლებების დაცვის მოთხოვნებზე. ასე, რომ ზნეობრივ ფაქტორს უდიდეს როლს ვანიჭებდით მუდამ. ალბათ, ამან განაპირობა ჩვენი წარმატება მრავალპარტიულ არჩევნებშიც.

– რომელი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე სასურველს? მით უმეტეს, რომ წინ არის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომელიც გვერდს ვერ აუვლის ვერაფერს, რაც კი საზოგადოებას აწუხებს და აღელვებს.

– ჩვენ წინაშე მრავალი უმწვავესი პრობლემა დგას. მათ შორის უმთვრესია სახელმწიფოებრივი წყობის გადაქმნა, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, ეკონომიკური რეფორმა. ყველაზე ძირითადია საქართველოს ქვეყნის მართვი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, რომელიც დასაწყისია, საფუძველია საქართველოს მომავალი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა. ჩვენი მიზანი, პრობლემაა, აგრეთვე სამართლებრივი რეფორმა, ეროვნული სულიერი და ზნეობრივი სანწყისების აღდგენა და მათი გაბატონება.

– ჩემი პროფესია დაეჭვებულ ადამიანებსაც

ზვიად გამსახურდია: ყველაზე პაკეთოთი პროვნიული საქმე

მახედვრებს. თქვენ რას ეტყობთ იმ ადამიანებს, რომლებსაც თქვენი, ესე იგი, „მრგვალი მაგიდა“ – თავისუფალი საქართველოს“ იმედი არა აქვთ?

– ძნელია დამისახურო ყველას მოწონება და აღიარება. ეს თვით უდიდეს ადამიანებსაც არ ხვდომიათ წილად, არც თვით მინაზე განკაცებულ ღმერთს იესო ქრისტეს. მასაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მოძულეები და თქვენ წარმოიდგინეთ, მტრულად განწყობილი ადამიანები. ასე, რომ ძალიან ძნელია ყველას მოაწონო შენი გზა, შენი მსოფლმხედველობა, შენი მიმართულება. ასეთი ადამიანი, მე მგონი, ჯერ ბუნებაში არც დაბადებულა. ასე, რომ მეც ვერ მექნება ასეთი პრეტენზია.

– სად ხედავთ ყველა ეროვნული ძალის ერთიანობის წყაროს?

– ამას ვხედავ უმაღლეს ეროვნულ და რელიგიურ შეგნებაში, რომელმაც უნდა გაიღვივოს ხალხში და განმტკიცდეს. სხვა გზა ნამდვილად არ არსებობს.

– ბატონო ზვიად, მე დღეს საშუალება მქონდა, მომეხიზნა დასავლეთის პრესის მიმოხილვა და ერთ-ერთმა გაზეთმა თქვენ გიწოდებ „ცეცხლოვანი გამსახურდია“, თუ დაეთანხმებით ამ აზრს?

– შეიძლება, დავეთანხმო მე ამგვარ შეფასებას (გულბანად იცინის) და ეს, ალბათ, დიდ თვითგანდიდებად არ ჩამომერთმევა, რასაც ზოგიერთები მახრალავენ.

– ზვიად ბატონო, საქართველოს რადიოთი გადაცემის შემდეგ ინტერვიუ გამიზნულად ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ დასაბეჭდად, თქვენ იცით, რომ ეს ჟურნალი განკუთვნილია განათლების დარგის მუშაკებისათვის, პედაგოგებისათვის, ჩვენი ერის მომავლის, ახალი თაობის სულის მწვერულებისათვის და აღმზრდელისათვის. რას უსურვებთ მათ? ისინი ხომ იმართებულნი არიან, ვინც თქვენ უნდა ამოგიდგინებ მხარში და მომავალშიც გააგრძელონ საქმე, რომელსაც ასე თავგანწირულად ემსახურებით?

– დიას, პედაგოგებს ერის, ქვეყნის წინაშე უდიდესი მისია აქვთ, მეტად საპაატო და საპასუხისმგებლო ვალი ადევთ. მე ვუსურვებ მათ დიდ მოთმინებას, ნებისყოფას და გამძლეობას, რამეთუ ძალიან ძიძივ, გართულებულ ეპოქაში ვცხოვრობთ და ახალგაზრდობაც სხვაგვარია, არაიმგვარი, როგორც წინა ეპოქებში იყო. თანამედროვე ახალი თაობა ბევრად უფრო ძნელი და რთულია აღსაზრდელად, სწორ გზაზე დასაყენებლად. პედაგოგის ხელოვნება სწორედ იმაშია, რომ ძნელად აღსაზრდელ ახალგაზრდას მისცეს სწორი მიმართულება და დააყენოს კეთილ გზაზე. მაგრამ ერთსაც ვიტყვი, რომ ყოველივე დამოკიდებულია თვით პედაგოგზე, მათ პიროვნებასა და სრულქმნილებაზე. ჩემი აზრით, გადაწყვეტია, როგორ ვზრდით და რას ვასწავლით ახალ თაობას. მინდა, უფრო ღრმად ჩაუფიქრდეთ ამას, რომ ახალგაზრდობა ქადაგებით ვერ აღიზრ-

დება, ის მაგალითებით უნდა აღვზარდოთ. უწინარეს ყოვლისა, პედაგოგი უნდა იყოს მიწაში მოზარდებისათვის, ყოველივე კეთილშობილურის სარკე, რათა მათს სულსა და გულზე მოახდინოს ზეგავლენა და მისცეს ცხოვრების გზის დამოუკიდებლად, საკუთარი ხელებით, ნიჭით და უნარით გაკავფისათვის საჭირო ცოდნისა და სულიერების საგზაი, დაუსახოს ალაღმართლად, ზნეობრივად ცხოვრების იდეალი.

– დიდი მადლობა იმისათვის, რომ ამ მეტად დაძაბულ სიტუაციაში გამონახეთ დრო და მოიცალეთ ინტერვიუსათვის.

– ყოველთვის მზად ვარ საქმიანი საუბრისათვის, აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის,

ზვიად გამსახურდია: ყველაზე პაკეთოთი პროვნიული საქმე

თუ ის ჩვენი ერისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ იქნება წარმართული.

* * *

ასე იმედიანად, უკეთესი მომავლის რწმენით დამთავრდა ეს პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ იგი გახდა ჯერ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მერე კი, ბედკრული საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ხოლო რაც შეეხება დიპლომს, მეორე დღეს დილაუთინია შევუდექი მის მაგნიტოფონთან და ჩააღმდეგე ვადატანას, მერე ეთერში გასაშვებ ფირზე დამონტაჟებას. ყველაფერს რომ მოვრჩი და თავისი ადგილი მივუჩინე, სადიქტორში ოპერატორი შემოვარდა და მეუბნება, თავმჯდომარის მოადგილე გექცხისო. კაბინეტში შესულს გულიანი გამარჯობის პასუხად მომახალა:

– მე რა, ჩვენი ვარ? რატომ არ მითხარი, ზვიად გამსახურდიასთან თუ მიდიოდი?

ეს ისე ბოლმანარევიად იყო ნათქვამი, არც კი ვიცოდი, რა მეპასუხა. გულში კი გავვივლე, მაღლობის მაგი-

ერია... რატომ დუმხარ? რატომ არ გამაგებინე, ზვიადთან ინტერვიუსთვის თუ მიდიოდი. მე რა, ჩვენი ვადატანა აქ? – უფრო რიხიანად გაიმეორა ის უსიამოვნო ფრაზა, რომელსაც არც საკუთარ თავს და მით უმეტეს არც სხვას ვვადრებ.

– თქვენ იცით, რომ მე შეგებულბაში ვარ და სრული უფლება მქონდა, სადაც მინდოდა იქნავ სულიყავი და ნებისმიერი ადამიანისაგან აშელი ინტერვიუ. – იყო ჩემი პასუხი და გველნაკებენით ვაგვმორიდებ იქაურობას.

გულნატკენმა გადავწყვიტე, ტექსტიან-ფორიანად უკან წაშელო მსახალა, მაგრამ ოპერატორებმა და დიქტორებმა არ დამანებეს. არადა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის გახსნამდე მხოლოდ ერთი დღე იყო დარჩენილი და ინტერვიუ ყველა პარამეტრით უპასუხებდა დაძაბული დრო-ჟამის მოთხოვნას. მართლაც, იმ დღეს ინტერვიუ რამდენიმეჯერ გადაიცა ეთერში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქვეყნარტი ლიდერის, მომავალი პირველი პრეზიდენტის ხმა ამომავალი მზის სხივების დარად ეფინებოდა მომავლის იმედით, რწმენით შემყურ საქართველოს მთა-ბარს, სოფლებსა და ქალაქებს. მასში საქართველოს რადიოს ტრანსლაცია ქვეყნის ყველა სოფელს, ქალაქსა და რაიონს მოიცავდა.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა მხოლოდ რამდენიმე თვე აცალეს ათასი ჯურის შინაურმა თუ გარეშე მტრებმა, გაუცხოებულმა შარლატანებმა. არადა, როცა საქართველოს პარლამენტის ირგვლივ საომარი მოქმედების სუნი ტრიალებდა, ზვიადმა თავის მომხრეებს მიმართა: – თუ მომხდურები არ დაიშლიან და ტყვეას გვესვრიან, თქვენ ვარდები ესროლეთ!

ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო.

გაჩაღდა ულმობელი სამოქალაქო ომი. დაიწყო საქართველოს წგრევა; აფხუებმა აფხაზეთი წარგვტაცეს, ოსებმა – სამაჩაბლო. მათი აზრით, დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს. ხოლო საქართველოს პირველი პრეზიდენტის მრავალტანჯული სხეული ქვეყნარტიად გამირი იქქერიელი ხალხის მიწამ შეიფარა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მდინარეებმა ბევრი ქვიშა და ღორღი ჩაიტანეს ზღვებსა და ოკეანეებში, ბევრი რამე დაიხილა, დაილექა, დრო-ჟამის სროლამ ბევრ რამეს საზღვრში უკრა თავი, მაგრამ გაუხუარია საქმე, იდეალი, მრწამსი, რასაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა შესწირა თავი...

თოთხმეტწლიანი დევნილობის შემდეგ მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდა ერისათვის თავდადებულის ნეშტი. აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მთაწმინდა გულში ისუტებს საშვილიშვილო სამარეს“.

იმ დღეს, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ადგილსამყოფელს ვაი-ქართველებმა მრავალი ჯურის მტერთა მხარდაჭერით ზარბაზნები და კალაშნიკოვები დაუშინეს, მთავრობის სასახლეში ვიყავი, როგორც ყურნლისტი.

ულმობელი დარტყმებისაგან შენობა ზანზარებდა, ირყოდა, იგრეოდა, ნაფშენ-ნამსხვრევები თავსა და მხრებზე გვეყრებოდა!

პირველი საშუალო სკოლის შენობა უკვე ხანძარში იყო გახვეული.

სწორედ მის მხარეს იყო ოთახი, საიდანაც ხუთიოდე ჟურნალისტი მიგყავდა რადიოგადაცემები. მალე ჩვენი ოთახის კედელსაც მოხვდა ჭურვი.

სასწრაფოდ მთელი აპარატურა დერეფანში, უფრო დაცულ ადგილზე გადავიტანეთ. იქიდან მივმართავდით ყველას, ყველას, ყველას, ეშველათ ქვეყნისათვის!

სამწუხაროდ, არავინ ჩანდა არც გამგონი და, მით უმეტეს, მშველელი!

ასეთ მომაკვინებულ, დამანგრეველ ჯოჯოხეთში უმეინში, ჭურვებით შეზანზარებული კაბინეტიდან გამოვიდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ორიოდე პარლამენტარის თანხლებით.

შარლატონი, ერთი აუნერელი იყო მისი სახის მწუხარება, უძირო იყო მის თვალებში ჩამდგარი სევდა!

ეს რომ იხილა ჩემმა კოლეგამ თამარ გამილადიშვილმა, შეჰკვივლა: – რატომ ვარ ცოცხალი?!

ხოლო პრეზიდენტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, უძვირფასესი დოკუმენტი, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ერთხმად მიიღო საქართველოს პარლამენტმა, მკერდში ჰქონდა ჩახუტებული.

ამ დროს იგი ჰგავდა ახალგაზრდა დედას, რომელსაც სიცოცხლის მშვენიერებით სავსე პირში ძალუშვად მფეთქავ გულმკერდში ჰყავს ჩახუტებული:

– ვითარც დასტური სიცოცხლის უძლეველობისა;

– მისი სწორუპოვარი მშვენიერებისა;

– მისი აურაცხელი სილამაზისა და კვებამოსილებისა!

უბედური საქართველოს უბედური პირველი პრეზიდენტი თავშესაფრისაკენ, ე.წ. ბუნკერისაკენ მიემართებოდა... ცოცხალკვადარი! ასეთად დარჩა ჩემს მესხიერებაში იგი, ვინც ალუდგინა ქვეყანას დამოუკიდებლობა, მოუპოვა თავისუფლება, ქართველობას კი – ეროვნული მეობა!

მაგრამ რა? ვთქვათ სიმართლე – ეს არ თუ ვერ შევიშენეთ ქართველებმა!

ამან განაპირობა ამ სტრიქონების დაბადებაც – „წუხელაც, როგორც ყოველთვის“...

მას შემდეგ მესხიერებდა ვერ ამოვშალე სამოქალაქო ომის მსვლელობა, განსაკუთრებით მისი პირველი დღე...

სამიოდე ათეული წლის წინათ ჩანერილი ინტერვიუს მკითხველისათვის მიწოდება რატომ გადავწყვიტე? იმიტომ, რომ მასში დასმული პრობლემები დღეს ბევრად უფრო მწვავე და აქტუალურად დგას ქვეყნის, ერის წინაშე. ძლიერ მანუხებს ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის ნარკომანიით გატაცება, მის შედეგად გახშირებული სიკვდილიანობა.

გული მწყდება, რომ არაფერი არ შემიძლია! გულს მტკენს პოზიცია-ოპოზიციის უთავბოლო პაექრობა. კი, ჯანსაღი კრიტიკა საჭიროა, მაგრამ ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული – მავნებელია! ერთმანეთის ლანძღვა-თათხვით საქმე ვერ გაკეთდება!

არადა, შევლას ითხოვს სამად გაგეივილი საქართველოს მიწა-წყალი!



„ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ აფხაზეთში არააფხაზად დავიბადე?“

აფხაზეთის თვითღიარებულ რესპუბლიკაში პასპორტების შეცვლის პროცესმა ბევრი არააფხაზი ეროვნების ადამიანი მოქალაქეობის გარეშე დატოვა. ისინი ვერ ასაბუთებენ აფხაზეთში ცხოვრების ფაქტს 1994-1999 წლებში, რასაც მოქალაქეობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება ითხოვს. საქმე ისაა, რომ გალის რაიონში დევნილების დაბრუნების მასობრივი პროცესი 1999 წლიდან დაიწყო, 2004 წელს კი გალის რაიონის მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცა. ამ ვითარების შესაცვლელად, 2013 წელს კანონში ჩაემატა პუნქტი ბინადრობის ცვლის შესახებ. კანონი თავდაპირველად მიმართული იყო გალის რაიონის მცხოვრებლების უფლებების შესაზღუდად, თუმცა ახლა გამოიყენება ყველა არააფხაზის მიმართ. სოხუმელებმა თავიანთი გულისტკივილი გაუზიარეს რადიო „თავისუფლების“ რუსულენოვანი პროგრამის „მწმმ პაპაზას“ კორესპონდენტს მლენა ზამპოლსკინას.

„ესო კავკაზა“: — თუ შეგქმნიათ პრობლემები პასპორტის შეცვლისას?
სანუმა: — კი, სერიოზული პრობლემები შემექმნა. მოითხოვენ ისეთ ცნობებს, რომლებიც ჩამონათვალში არ არის. გინევს ისეთი რამეების ახსნა, რომელთა ახსნა ძალიან

რთულია იმის გამო, რომ იმ მომენტში ბავშვი იყავი. გინევს ბევრი სირბილი და ისეთი რაღაცების კეთება, რომელიც შენ არ უნდა აკეთო. ვითარება ასეთია: კანონის მიხედვით, თუ 1994-1999 წლებში აფხაზეთში არ გიცხოვრებ, ავტომატურად კარგავ მოქალაქეობას, მაგრამ ჩემი პრობლემა ისაა, რომ იმ პერიოდში მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი. შენ საბამისად, პას-უხს ვერ ვაგებდი ჩემს საქმეზე, მაგრამ კანონი სხვა რამეს ამბობს.

„ესო კავკაზა“: — ახლა რა ეტაპზე იმყოფებით?
სანუმა: — შევიტანე საბუთები, მომივიდა უარი პასპორტის შეცვლაზე. ახლა ჩემი საბუთები მოქალაქეობის შესახებ კომისიაში აქვთ, თუმცა ვერ ვხედავ აზრს ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაში, რადგანაც აქ ვარ დაბადებული.
თემური: — ერთი თვის წინ შეეცვალე პასპორტი. უპრობლემოდ ჩავაბარე საბუთები „საპასპორტო მაგიდას“. ათ დღეში გადმოცეს ნომერი, რომელიც უნდა შემეტანა საიტზე. ათი დღის შემდეგ შევედი და შევიტყვე, რომ პასპორტი მზადაა. ჩემი თანამშრომელი კი პრობლემებს წაანყდა. მოსთხოვეს ატესტატი, რომ დაამთავრა სკოლა, უნივერსიტეტი. საშხედრო ბილეთიც კი მიიტანა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ საბუთისა, მაინც ჰქონდა პრობლემები. განიცდიდა. მერე დასახმარებლად ჩართო ხალხი და საკითხი დადებითად გადაწყდა.
„ესო კავკაზა“: — როგორ ფიქრობთ, უნდა შეიცვალოს კანონი მოქალაქეობის შესახებ?
თემური: — უნდა მოიძებნოს ოქროს შუალედი, დაბალანსებული გადაწყვეტილება, რათა არ შეილახოს არააფხაზი ეროვნების მოქალაქეობის უფლებები.
ანაიდა: — როცა მივმართე „საპასპორტო მაგიდას“ პასპორტის შესაცვლელად, მომთხოვეს შესაბამისი დოკუმენტები, სად ვიყავი 1994-1999 წლებში. წარუდგინე სკოლის ატესტატი და დიპლომი, რომ ვსწავლობდი მუსიკალურ სასწავლებელში. ამის შემდეგ არანაირი პრობლემა აღარ მქონია. რაღაც დროის შემდეგ მომცეს ახალი პასპორტი. ისე კი, რა თქმა უნდა, დადასტურებული ინფორმაციაა, რომ ბევრს პრობლემები ექმნება. ერთი კაცი მივიდა საპასპორტო სამსახურში, რათა პასპორტი შეეცვალა. რატომღაც ეგრევე გვარი ჰკითხეს. როცა სომხური გვარი დაუსახელა, უთხრეს, რომ არ შეუცვლიდნენ პასპორტს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ კაცს

დედა ჰყავდა აფხაზი. მოძებნა ნათესავები, რომლებიც მიპყვენიერ საპასპორტო განყოფილებაში და ასე შეცვალა პასპორტი.
ამრა: — არა, ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი საპასპორტო სამსახურის მუშაობით.
ალა: — პასპორტი ავიღე ჩვეულებრივ, ერთ თვეში, პრობლემების გარეშე. ჩემი ვაჟი აფხაზეთში დაბრუნდა ომის შემდეგ, 1994 წელს. ითხოვეს მეზობლების დასტურს, რომ ამ დროს აფხაზეთში იმყოფებოდა. ეს ყველაფერი გვაქვს.
„ესო კავკაზა“: — ვაფხა აიღო პასპორტი?
ალა: — ჯერ არა.
„ესო კავკაზა“: — როდის ჩააბარა საბუთები?
ალა: — 2017 წლის დეკემბერში. ჩემი შვილის სახელია ირაკლი მიხეილის ძე კუზნეცოვი. უცნაური დამთხვევით, დღეს უნდა მივიდეს და გაარკვიოს, რაშია საქმე.
„ესო კავკაზა“: — მიზანი არ უთქვამთ?
ალა: — 1994 წელს, როცა ომი დაიწყო, ჩემი შვილი 13 წლის იყო. გავარიდეთ აქაურობას, ერთი წელი გაუცდა სკოლაში. როგორც ლტოლვილმა, ერთი წელი დაჰყო რუსეთში, 1994 წელს დაბრუნდა. 1997 წლიდან მუშაობს, შრომის ნიგნაცვიც აქვს გახსნილი.
როზა: — პირადად მე — არა, მაგრამ იყო შემთხვევები. ქალიშვილმა ლამის ყველა ცნობა მოაგროვა დაბადებიდან დღემდე: პირველიდან მეოთხე კლასამდე სოხუმის მეოთხე სკოლაში რომ სწავლობდა, მეოთხედან მერვე კლასამდე კი — მესამე სკოლაში რომ სწავლობდა, შემდეგ ლამის სკოლა რომ დაამთავრა — სამივე ცნობა მოსთხოვეს. 1987 წელსაა დაბადებული. სიმართლე ვთქვა, ძალიან საწყენია. დაიბადა აფხაზეთში, დედა და მამაც აქ დაიბადნენ, ბებიის და ბაბუაიც, ახლა კი უნდა დავუმტკიცო ვილაცას, რომ აფხაზეთის მოქალაქე ვარ.
„ესო კავკაზა“: — როგორ ფიქრობთ, უნდა შეიცვალოს კანონი მოქალაქეობის შესახებ?
როზა: — მასში პირდაპირ წერია: არააფხაზური ეროვნების მოქალაქეობისათვის. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ აფხაზეთში არააფხაზად დავიბადე?!

რუსეთთან მიდგომაში დასავლეთმა ერთიანობა უნდა აჩვენოს: რატომ გახდა საქართველო რუსეთის სამიზნე

ბავშვინაბი ამერიკული გამოცემის „The National Interest“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური საკითხები — დამოკიდებულება ნატოს წევრებთან, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან, აშშ-რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა და ა.შ. (ავტორები: დენის კორბოი, უილიამ კორტნი და კენეტ იალოვიცი) — აშშ-ის ყოფილი ელჩები საქართველოში).
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრისი“ გათავაზობს ამონარიდებს პუბლიკაციიდან:

„შეერთებულ შტატებს და რუსეთს ერთმანეთთან ძალზე ღრმა უთანხმოება აქვთ, მათ შორის სირიის ომთან და ამერიკის 2016 წლის არჩევნებში ჩარევასთან დაკავშირებით, მაგრამ დასავლეთისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ვაშინგტონის ის მოქმედება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული: ხელი შეუშალს მოსკოვს პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი გავლენის სფეროს შექმნაში. მართლაც, რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობის გაურესება სწორედ საქართველოსა და უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და მათი ტერიტორიების საშხედრო ოკუპაციამ გამოიწვია. ამ კრიზისებს დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის დროს პრიორიტეტული ყურადღება უნდა დაეთმოს. იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის საშხედრო ძალის გამოყენების რისკი მეზობლების წინააღმდეგ, დონალდ ტრამპს შეუძლია ვლადიმერ პუტინს თავშეკავება ურჩიოს და კონფლიქტების გადაწყვეტა თავის დიპლომატებს მიანდოს ფართო უფლებამოსილებით. რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებში შექმნილ სიტუაციას და მათ მიმართ რუსეთისა და აშშ-ის დამოკიდებულებას: შეერთებული შტატები და ევროპა აქტიურად უჭერენ მხარს საბჭოთა ნანგრევებზე ჩამოყალიბებულ

ლი სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ვაშინგტონი და ბრიუსელი მათ აქტიურად ეხმარებიან რეფორმების გატარებაში, ამავე დროს მოსკოვის მოუწოდებენ, რომ რუსეთმა საშუალება მისცეს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, თვითონ აირჩიონ თავიანთი საგარეო-პოლიტიკური კურსი. სამწუხაროდ, კრემლი დასავლეთის მოწოდებებს ყურადღებას არ აქცევს. რუსეთთან იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც გავლენის სფეროების შექმნას ეხება, დასავლეთმა მტკიცე ერთიანობა უნდა აჩვენოს. ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია სანქციების შენარჩუნება, რომლებიც რუსეთს ყირიმის ანექსიისა და უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის ომის გაჩაღების გამო დაუწესდა. ამავე დროს აშშ-მა რუსეთის მიმართ შეტი პრინციპული უნდა გამოიჩინოს, რადგან გერმანიისა და საფრანგეთის ძალისხმევით მიმდინარე მოლაპარაკებები თითქმის უშედეგოა. საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალებს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი ოკუპირებული აქვთ 2008 წლიდან, როცა მოსკოვმა თავისი სამხრეთი მეზობლის წინააღმდეგ ომი დაიწყო. საქართველომ ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის არჩევნების თავისუფლად და დემოკრა-

ტიულად ჩატარების, ეკონომიკის ზრდისა და მისი გამჭვირვალის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ საქართველო ნატოს ბლოკში განწევრებას ეხსრავებს, ეს სამხრეთკავკასიური ქვეყანა სახელმწიფო რუსეთის ხისტი ძალის მოქმედებისა და პროპაგანდის სამიზნე გახდა. ამის მიუხედავად, საქართველო ცდილობს, რუსეთთან დაძაბულობა მასთან პრაქტიკული თანამშრომლობით შეასუსტოს: რუსეთიდან



ჩასულ ტურისტთა რაოდენობა საქართველოში მაღალი ტემპებით იზრდება — ისევე როგორც ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში. რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, რუსეთი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბაქოსა და ერევანს შორის არსებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხს. მოსკოვი ორივე მხარეს აწვდის თანამედროვე იარაღს, პლუს საშხედრო ბაზა აქვს სომხეთში. ვლადიმერ პუტინი მიესალმა სომხეთის ხელისუფლების ცვლილებას, მაგრამ მას არ მოსწონებია ახალი ლიდერის მოსვლა „ქვემოდან“.

ამ მოწოდებას არ გამოხმაურებია. ჯერჯერობით მტკიცეა რუსეთ-ბელარუსის კავშირი, თუმცა ზოგჯერ უთანხმოება მათ შორისაც იჩენს ხოლმე თავს. მაგალითად, მინსკმა მოსკოვს უარი განუცხადა ბელარუსის ტერიტორიაზე საშხედრო-საპაერო ბაზის შექმნის საკითხში. უთანხმოებაა ვაჭრობისა და საზღვრის უსაფრთხოების საქმეშიც. ბელარუსის პრეზიდენტი მოხერხებულად სარგებლობს სიტუაციით, ნაციონალისტურად მოქმედებს და რუსეთს აჩვენებს, რომ მას დასავლეთთან გარკვეულ საკითხებში საერთო ენის გამოჩვენება შეუძლია. რასაკვირველია, თუ ალექსანდრე ლუკაშენკო კიდევ უფრო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას გაატარებს, რუსეთი უკან არ დაიხევს და ბელარუსის ლიდერის შეცვლას შეეცდება. უზბეკეთში მას შემდეგ, რაც დიქტატორი ისლამ ქარიმოვი გარდაიცვალა (2016 წელს), ახალმა პრეზიდენტმა შავკათ მირზიევმა გადადგა ნაბიჯები შიდაპოლიტიკური რეპრესიების შესასუსტებლად და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის გახსნის მიზნით. ტაშვენტსა და მოსკოვს შორის არსებული დაძაბულობა შემცირდა, მაგრამ უზბეკეთი რეგიონულ ურთიერთობებში, მეზობლებთან დამოკიდებულებაში მაინც პასიური რჩება. შეიძლება ითქვას, რომ შუა აზიაში კვლავ რუსეთი დომინირებს, აშშ-ის გავლენა არ მატულობს. ყაზახეთის უცვლელი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, მართალია, მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვთან გონივრულად და მოხერხებულად თანამშრომლობს, მაგრამ იმავდროულად თავისთან ინვესტა-

სავლურ და ჩინურ კომპანიებს ენერგოშემცველების საბადოების დასამუშავებლად. ამბობენ, რომ ნურსულთან ნაზარბაევი შეიძლება 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა აღარ დააყენოს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დღეს უზენაესი მმართველია. რატომ უნდა ალელვებდეს ამერიკის შერთებულ შტატებს რუსეთის პოზიციის გამოვლენა თავისივე მეზობლების მიმართ? ბალტიისპირეთის ქვეყნებს რომ თავი დავენებოთ, დანარჩენი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში აუტომატურად გარკვეულ საკითხებში საერთო ენის გამოჩვენება შეუძლია. რასაკვირველია, თუ ალექსანდრე ლუკაშენკო კიდევ უფრო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას გაატარებს, რუსეთი უკან არ დაიხევს და ბელარუსის ლიდერის შეცვლას შეეცდება. უზბეკეთში მას შემდეგ, რაც დიქტატორი ისლამ ქარიმოვი გარდაიცვალა (2016 წელს), ახალმა პრეზიდენტმა შავკათ მირზიევმა გადადგა ნაბიჯები შიდაპოლიტიკური რეპრესიების შესასუსტებლად და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის გახსნის მიზნით. ტაშვენტსა და მოსკოვს შორის არსებული დაძაბულობა შემცირდა, მაგრამ უზბეკეთი რეგიონულ ურთიერთობებში, მეზობლებთან დამოკიდებულებაში მაინც პასიური რჩება. შეიძლება ითქვას, რომ შუა აზიაში კვლავ რუსეთი დომინირებს, აშშ-ის გავლენა არ მატულობს. ყაზახეთის უცვლელი პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, მართალია, მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვთან გონივრულად და მოხერხებულად თანამშრომლობს, მაგრამ იმავდროულად თავისთან ინვესტა-

ოზურგეთის თეატრი 150 წლისაა

თეატრალურ სანახობათა ისტორია გურიაში გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის დროს იწყება. მან ოზურგეთში, თავის სასახლეში შექმნა სალონი, რომელიც იმ დროს ევროპული ტიპის პირველი კულტურული კერა იყო დასავლეთ საქართველოში. თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1868 წლის 20 მარტი, როდესაც ოზურგეთში გაიმართა პირველი საჯარო წარმოდგენა. ახალგაზრდების ჯგუფმა ქუთაისის გუბერნატორისგან მიიღო უფლება, გაემართათ წარმოდგენა ოზურგეთში. ქალთა სკოლის შენობაში სცენისმოყვარულთა ჯგუფმა დადგა ა. ცაგარელის კომედია „ბაიყუში“. პირველი წარმოდგენის შემდეგ გახშირდა დადგმები. რეპერტუარში შედიოდა „კაკო ყაჩაღი“, „და-მმა“, „არსენა“ და სხვ. შემოსავალი სკოლებისა და საზოგადოებრივი სასარგებლოდ იხარჯებოდა. სცენისმოყვარულთა წრის პირველი ხელმძღვანელი იყო კოლია ბებურიშვილი, შემდეგ კი ვალერიან შალიკაშვილი. ასეთია ოზურგეთის თეატრის შექმნის დასაწყისი.

საიუბილეო ცერემონია თეატრის წინ მდებარე მოედანზე გაიმართა და წითელ ხალიჩაზე მთელმა დასმა და ტექპერსონალმა გაიარა. ოზურგეთელები დიდი ოვაციით შეხვდნენ საყვარელ მსახიობებს. კულტურისა და სპორტის მინისტრმა მ. გიორგაძემ ხელოვნების ქურუმის წოდება მიანიჭა ამირან ქადიშვილს. საქართველოს პრეზიდენტის გ. მარგველაშვილის ბრძანებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ: ზაზა ჯინჭარაძე, ომარ ურუშაძე და ნუგზარ ბარამიძე. ღირსების მედლები ერგოთ: მ. ავაქიანს, თ. კვიციანიას, ლ. მარტაშვილს, ვ. ჩოლობარგიას, ა. კალანდარიშვილს. არც საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გ. გეგეჭკორი ჩამოსულა ხელცარიელი: მან თეატრის სამხატვრო

ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფია თეატრალურ ფესტივალზე...

აპროპოზიტივი პირველი კულტურული ქირა დასავლეთ საქართველოში



ლანდარიშვილს, ვ. ჩოლობარგიას, ი. ხინიკაძესა და მ. გეგეჭკორს.

ხელმძღვანელი ვ. ჩიგოგიძე კ. მარჯანიშვილის პრემიით, ხოლო დასის წევრები: თ. კუტაბაძე – ალ. ნუნუაშვილს, თ. კვიციანიას – ვეტროფი თალაკვაძის, ნ. ბარამიძე – სანდრო ჟორჯოლიანის, ალ. ლომიძე – რომან ლომინაძის, თ. დარჩია – პეტრე ოცხელის სახელობის ჯილდოებით დასაჩუქრა. ამგვარად წოდება მიეკუთვნათ: ჯ. კეჭყაძეს, ნ. ბასილაშვილს, ნ. ჯუღელი, ლ. მარტაშვილს, ა. კა-

ნოდარ დუმბაძის სახელობის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც მწერლის დაბადებიდან 90 და ოზურგეთის თეატრის დაარსებიდან 150 წელს მიეძღვნა.

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში, ფესტივალის ფარგლებში, ოზურგეთის თეატრის საიუბილეო წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლის – „მონატრება“ პრემიერა გაიმართა, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ საგანგებოდ ფესტივალისთვის დადგა. დადგმა აერთიანებს ნ. დუმბაძის ნაწარმოებების ფრაგმენტებს: „მონატრება“, „სისხლი“, „ბოშები“, „მე ვხედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“... სპექტაკლიდან სპექტაკლში გვამოგზაურებს ბაჩანა, რო-

მელსაც შესანიშნავად ანახიერებს ცნობილი მსახიობი ზურაბ ცინციკლაძე; „მარადისობის კანონიდან“, რომელიც რეალობიდან ირეალობაში გადადის.

ფესტივალში 13 პროფესიული თეატრი მონაწილეობს, მათ შორის 3 უცხოური დასი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ფესტივალში მონაწილეობენ: თბილისის მოზარდ მაყურებელთა, მესხეთის, ქუთაისის, თელავის, რუსთავის, ჭიათურის, თელავის, ქუთაისის თეატრები. ფესტივალზე განჯის სახელმწიფო დრამატული თეატრი „ჰელადოსის“ წარმოდგენს, ხოლო მოსკოვის თეატრი „ნიკიტინსკის კარიბჭე“ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ორიგინალურ ვერსიას გვთავაზობს. პერმის თეატრი „U Mosta“ სპექტაკლით „ზურიკელა“ წარსდგება ქართველი მაყურებლის წინაშე. მონაწილეობს დედა-გაციები რუმინეთიდან, ბელარუსიდან, ბულგარეთის გაბროვოსა და საერთაშორისო ფესტივალიდან. გაფორმდება მემორანდუმი გაბროვოსა და ოზურგეთის ნ. დუმბაძის სახ. ფესტივალს შორის.

ფესტივალის 14 ივლისს ვერ. ნ. დუმბაძის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში მდებარე მწერლის სახლ-მუზეუმში დაიწყება და ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში, სპექტაკლით „მზიანი გული“ დასრულდება.

ფესტივალის დამფუძნებელია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან ერთად, ოზურგეთისა და ჩოხატაურის ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალი 2016 წელს დაარსდა და ის ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

გუგუზ მებრეიძე,
ჩენი სპექტორი.

ნიმსბერში მონაგვლი ბრიტანელი ქალი გარდაიცვალა

ბრიტანელი დონ სტერესი, რომელიც დაზარალდა ნევროპარალიზური ნივთიერების ზემოქმედების გამო ეიმსბერში, გუშინწინ საღამოს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მასთან დაკავშირებით პოლიციამ მოახდინა ინციდენტის კვალიფიცირება, როგორც მკვლელობა და შესაბამისი მუხლით გამოძიება დაიწყო. აუცილებელი გახდა გარდაცვლილის სხეულის გაკვეთა.

ნათესავებს უკვე შეატყობინეს მისი გარდაცვალების შესახებ. მას სამი შვილი დარჩა.

ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ის დამნაშავე უნდა იყოს და მოკირებულა მომხდარის გამო.

ალსანიშნავია, რომ მამაკაცი, რომელიც ასევე იყო ჰოსპიტალიზებული სტერესთან ერთად, კვლავინდებურად რჩება სოლსბერის საავადმყოფოში. მანამდე ცნობილი გახდა, რომ ექიმები მის მდგომარეობას კრიტიკულად აფასებდნენ.

ცნობისთვის, ინგლისის საგრაფო უილტშირის პოლიციამ, ქალაქ ეიმსბერში, ერთ-ერთ სახლში, 40 წლამდე ქალი და მამაკაცი უფრო მდგომარეობაში აღმოაჩინეს. პოლიციამ „უცნობი ნივთიერების“ შედეგად მოწამვლის ფაქტის შესახებ განცხადება იმპვე დღეს გააკეთა.

პორტონ-დაუნის ლაბორატორიის სპეციალისტებმა მათ ანალიზებში ნევროპარალიზური ნივთიერება „ნოვიჩოკი“ აღმოაჩინეს.



11 გენი, რომელსაც კიბოს მეტასტაზების შეჩერება შეუძლია

დღეს ორ ახალ სამეცნიერო კვლევას გაგაცნობთ, რომელიც ივლისში, ჟურნალ „ნეიჩერში“, დაახლოებით 10 დღის ინტერვალში გამოქვეყნდება. ერთ-ერთში საუბარია 11 გენზე, რომელსაც, მეცნიერების აზრით, ცოცხალ უჯრედში კიბოს მეტასტაზების დაბლოკვის უნარი აქვს. მეორე ნაშრომში კი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იდენტიფიცირებულია მალალი ინტელექტის განმსაზღვრელი 1000-მდე გენი, რომელიც უარყოფით კორელაციაშია ალცჰაიმერთან და შიზოფრენიასთან.



მკვლევარები აღბერტას უნივერსიტეტიდან ფიქრობენ, რომ მათ ამოიცნეს 11 გენი, რომელიც პასუხს აგებს კიბოს გავრცელებაზე სხეულის სხვადასხვა ნაწილში. შესაბამისად, მათი აზრით, კიბოს მეტასტაზების 99.5 პროცენტის შეჩერება შესაძლებელია. საუბარია სხვადასხვა ტიპის კიბოზე.

კანადელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჯერჯერობით მხოლოდ ფრინველის ემბრიონზე ჩაატარეს. ემბრიონს ისინი კვერცხის გარსის გარეშე, რეალურ დროში აკვირდებოდნენ.

ამ უნიკალური პლატფორმის საშუალებით, მეცნიერებმა შეძლეს, კიბოს ზრდაზე და გავრცელებაზე ვიზუალური დაკვირვება ეწარმოებინათ. წარმატებულ შედეგებზე დაყრდნობით, მათ იმედი აქვთ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ექსპერიმენტებს ადამიანებზე დაიწყებენ.

მიღებული შედეგის „პოტენციალის მნიშვნელობა წარმოუდგენელია“, – ამბობს ჯონ ლუისი, კვლევის ხელმძღვანელი. ის აღბერტას კიბოს ფონდის თავმჯდომარეა. ლუისი დარწმუნებულია,

რომ ამ ნაშრომით მათ აღმოაჩინეს „11 ახალი გზა, რომელსაც მეტასტაზების აღკვეთის პოტენცია აქვს“.

ჯონ ლუისი თქმით, სწორედ „მეტასტაზები კლავს კიბოს პაციენტების 90 პროცენტს“. ამიტომაც „ვფიქრობ, რომ თუ კიბოს პაციენტებში დაავადების პროგრესირების ნებისმიერ ეტაპზე მეტასტაზების შეჩერება შეეძლებოდა, სიცოცხლის გადარჩენის შანსებზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა“.

აღბერტას უნივერსიტეტის იმავ ელბორატორიაში კიდევ ერთი საინტერესო კვლევა მიმდინარეობს, რომლის სამიზნე ასევე კიბოს მეტასტაზებია. მეორე კვლევაში კანადელი მეცნიერები სხვა ტიპის გენებს სწავლობენ, სახელად „მიკრო-რნმ“, რომელსაც მათი აზრით, შესაძლოა, მეტასტაზირების პროცესის პრევენციის უნარი ჰქონდეს.

ნაშრომი ჟურნალ „ნეიჩერის“ 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდება. კვლევა კანადის კიბოს საზოგადოებამ და აღბერტას უნივერსიტეტის კიბოს ფონდმა დააფინანსა.

რაც შეეხება მეორე ნაშრომს, მასზე

ამსტერდამის თავისუფალ უნივერსიტეტში გაერთიანებული საერთაშორისო მეცნიერებისგან შემდგარი ჯგუფი მუშაობდა. დიდი მოცულობის კვლევაში თითქმის 270 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მკვლევარებმა აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის აქამდე უცნობი 939 გენი, რომელიც ადამიანის მალალი ინტელექტს უკავშირდება.

კვლევისთვის მეცნიერებმა 14 მონაცემთა ბაზა შეისწავლეს. ბაზაში ერთიანდებოდა როგორც ადამიანთა გენეტიკური ინფორმაცია, ასევე მათი ინტელექტის განმსაზღვრელი სპეციალური ტესტების შედეგები. მონაცემთა შეჯერების შედეგად, მკვლევარებმა შეძლეს ათასამდე გენის იზოლირება, რომელიც ადამიანის მალალი ინტელექტს განსაზღვრავს.

ნაშრომი ასევე ამტკიცებს, რომ მალალი ინტელექტის ადამიანები ალცჰაიმერის გარეშე გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე დაბალი ინტელექტის მქონენი. უარყოფითი კორელაცია დაფიქსირდა არა მარტო ალცჰაიმერთან, არამედ დეპრესიასთან, შიზოფრენიასთან, ყურადღების დეფიციტსა და ჰიპერაქტიურობის სინდრომთან მიმართებაში.

თუმცა, კვლევის მიხედვით, მალალი ინტელექტის ადამიანებს აუტიზმის მეტი შანსიც აქვთ. ზოგადად, ინტელექტის გენეტიკურად გადაცემის ალბათობა ძალიან მალალია. მალალი ინტელექტი დიდი ალბათობითვე განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობას და საბოლოო ჯამში, მის კარგად ყოფნას, მისი ცხოვრების ხარისხს.

მეცნიერთა იმავ ჯგუფმა განსაზღვრა დაახლოებით 500-მდე გენი, რომელიც ადამიანთა ნერვიულ ხასიათს და მის სხვადასხვაგვარ გამოვლენას უკავშირდება. „ეს შედეგები მნიშვნელოვანია კოგნიტიური ფუნქციონირების ბიოლოგიური ფუნდამენტის გაგებისთვის და მასთან დაკავშირებული ნევროლოგიური და ფსიქიატრიული აშლილობების უკეთ გასაგებად“, – ნერვ კვლევის ავტორები.

ნაშრომის დეტალურს გაცნობა შესაძლებელია ჟურნალის 25 ივნისის ნომერში. კვლევა დააფინანსა ნიდერლანდების სამეცნიერო კვლევების ორგანიზაციამ.

მანია ძვარცხავა

წყალბურთი

ნარმატული რეპეტიცია დილის აუზში

დილის ოლიმპიური ღია საცურაო აუზი სამ დღეს მასპინძლობდა წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს...




პულია, იმნაიშვილი, ბითაძე, ელაჩა, ჯახაია, ბაღა-თურია, რურუა, გეგელაშვილი, მაგრაქველიძე, მესხი, რაზმაძე, შუშიაშვილი, ჩიქვინიძე, რომლებმაც ამ ტურნირამდე...

ლეგიონერი

ფაჩულია „დეტროიტში“ ითავაშებს

ნბა-ს 2-გზის ჩემპიონი ზაზა ფაჩულია კარიერას „დეტროიტ პისტონზში“ გააგრძელებს...



შეგახსენებთ, რომ ზაზა ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „გოლდენ სტეიტში“ ირიცხებოდა...

მუნდიალი-2018

პეროკამ ყველანი ბეჭეზე დაღო

მშ ასე, ოთხივე მატჩიც და მსოფლიოს 21-ე საფეხბურთო ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება...



ლაღ მოსაგონარი საშინაო ტურნირის შემდეგ (1998) აფრინდენ ასე მაღლა.

დავძენთ, რომ სამხრეთამერიკელთა ფიასკო პლეი-ოფში მეტნაკლებად საკადრო პრობლემებმა განაპირობა...

და ბოლოს: ვიდრე ცხელი საფეხბურთო ზაფხულის ეპიცენტრი ჩვენს მეზობლადაა განთავსებული...

გიორგი შოთაძე

პატუტზე სტომა



თბილისის, ქუთაისის, გორისა და ბათუმის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა პატუტზე სტომაში...

სპორტის ოსტატის პროგრამით: გოგონები. 1. ანანო აფაქიძე და მეგი ფარულუა - ორივეს 52,8-52,8 ქულა...

რეპიონი - 4, მონაწილე - 100

ჩუბინიძე (ქუთაისი, 87,31); 2. მარიამ ჯიქია (თბილისი, 86,47); 3. დიანა ფოთელიძე (ბათუმი, 85,6); ვაჟები: 1. იოსებ სიმსივე (ქუთაისი, 90,78); 2. თამაზ ლომსაძე (თბილისი, 87,16); 3. დავით ქოქაშვილი (გორი, 75,63);

პირველი თანრიგის პროგრამით: გოგონები. 1. მარიამ ბოჭორიძე (თბილისი, 90,83); 2. ქეთევან ჯანჯღავა (ბათუმი, 80,35); 3. დიანა ბინაძე (ქუთაისი, 79,02); ვაჟები: ალექსანდრე ჟორჯოლიანი (ქუთაისი, 77,88); 2. დავით ქოქაშვილი (გორი, 76,34); ცოტნე ურუშაძე (თბილისი, 74,97).

გუნდური: გოგონები. 1. თბილისი (283,99); 2. ბათუმი (249,22); 3. გორი (212,43); ვაჟები: 1. თბილისი (261,48); 2. ქუთაისი (250,48); 3. გორი (221,13).

ლაზა დიდი

სუმი

საჩუქიონო სტარტი

ნაბოიბს ბაშოს მე-2 საშეჯიბრო დღეს ქართველმა სუმოსტმა ტოჩინოშინმა ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა.



ლევან გორგაძის მეტოქე იაპონელი ჩიონოკუნი იყო, რომელიც ჩვენებურმა ოშიდაში დაამარცხა და ახლა უკვე მეტოქესთან ბალანსი 6:1-ზე აქვს.

ოქეკის რანგში ტოჩინოშინმა პირველ შეხვედრაში იაპონელი იკიოი იორიკირის ილეთით გაიყვანა დოპიოდან და დიდებულ გამარჯვება იხეიმა.

კოვა კოვახიძე

64


დამაბვირბინებელი სკლეპის სიბლი

საჭადრაკო სკლეპების წარმომადგენელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ვაჟა ნეიძეს. იგი დაიბადა თბილისში, 1937 წელს.

1954 წლიდან გამოაქვეყნა 100-ზე მეტი ეტიუდი, მათგან 25 დაჯილდოებულია სხვადასხვა პრიზით, მათ შორის 10 - პირველით.

კაპბლანას ერთ-ერთ პარტიას კომენტარი გაუკეთა ტარტაკოვერმა, რომელშიც აღნიშნა: „მარტო ტექნიკური არსენალი - არა, მომხიბლავ პარტიაში შერწყმულია მოხდენილი სვლები“.

3. ნაიძე „64“, 1960, I პრიზი



მაიმი

- 1. e7 c6 2. c:c4! 3. f6+ 3. მუა3!! 4. c:c4+ 4. მუხ4 მუი5 5. ეძ1+ ხძ4 6. ეძ4+ მუ:ძ4 7. ხ6 ხ6ი

3. ნაიძე „64“, 1969 საპრაბატი გამოსაშვარება



მოგება

- 4. აფ7+ მუფ8 2. მუფ9 ეღ 3. მუ:ი2 ეღ1+ 4. მუფ9 ეღ3+ 5. მუფ4! ეღ7 6. აფ6! ე:ა7 7. აფ7+ ეღ8X

მომამზადა თამაზ შინგელიანი

სპორტული

„ბაჩოს თასი 2018“

ლინის ტბაზე სპორტულ ჟურნალისტიკა ტრადიციული მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი 2018“ ჩატარდა. ღონისძიების მონაწილეები ერთმანეთს 3x3 კალათბურთსა და ქუჩის მინი-ფეხბურთში შეეჯიბნენ. სპორტული ჟურნალისტიკის ბაჩო სვანიძის სახელობის ტურნირში მონაწილეობა სპორტული მედიის წარმომადგენლებმა, ბაჩოს მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა მიიღეს.

ბაჩო სვანიძის ხსოვნის ტურნირი 2010 წლიდან სპორტულ ჟურნალისტიკა ასოციაციის ეგიდით იმართება. „ბაჩოს

თით გაიხსნა. ტურნირში 5 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ერთმანეთს „რეკორდმაისტერი“ და „მონამეთა“ დაუპირისპირდნენ. დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა „რეკორდმაისტერის“ გამარჯვებით ანგარიშით 12:4 დასრულდა. მესამე ადგილზე „ლელო“ გავიდა. კალათბურთის ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ „რეკორდმაისტერის“ წევრი ბაჩო ცაღლუღელაშვილი დასახელდა.

სანახაობრივი გამოდგა ქუჩის მინი-ფეხბურთის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა 8



თასის“ მხარდამჭერები არიან კულტურისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია, ფეხბურთისა და კალათბურთის ეროვნული ფედერაციები და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. წლებადეულ ტურნირზე მედია-ფესტივალის პარტნიორი იყო ქართული ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია „ზედაზენი“. მედია-ფესტივალი სპორტულ ჟურნალისტიკა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში გაიმართა. ტრადიციისამებრ, სპორტული მედიის საერთაშორისო დღე 2 ივლისს აღინიშნა.

ფესტივალი 3x3 კალათბურთისა და ქუჩის მინი-ფეხბურთის ტურნირის საუკეთესო მოთამაშე „ბაჩოს მეგობრების“ წევრი ოთო მხეიძე გახდა. ქალთა შორის საუკეთესო მოთამაშეებდა ეკა ელოშვილი და თამარ აბესაძე დასახელდნენ.

„ბაჩოს თასის“ გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები 3x3 კალათბურთში მედლებითა და სამახსოვრო პრიზებით 3x3 კალათბურთის ფედერაციის პრე-



ზიდენტმა გიგა გურგენიძემ დაჯილდოვა, ხოლო ქუჩის მინი-ფეხბურთის ტურნირის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრები – ბურთები და მაისურები ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გადასცა. დაჯილდოებაში მონაწილეობა მიიღო სპორტულ ჟურნალისტიკა ასოციაციის პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა. ტურნირის მონაწილეებს სამახსოვრო სერთიფიკატებთან ერთად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოცემული სპორტული ლიტერატურა კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გადასცა. ჟურნალისტიკა ასოციაციის მდივანმა გოდუაძის ავტორობით გამოცემული სპორტული თემატიკის წიგნები და ბროშურები.

სპორტულ ჟურნალისტიკა ტრადიციული მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი“ წლეულს მეშვიდედ ჩატარდა. ფესტივალი მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაცვლილი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტიკის ბაჩო სვანიძის სახელს ატარებს. ჟურნალისტიკა კარიერის უკანასკნელი წლები სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ გაატარა.

ბაჩოს მეგობრები

საქართველო

თამარიკო ვაზაყაიის სსოვნას

ერთი წელი გავიდა შენი წასვლიდან, თამარი! თითქოს ახლაც კი ვგრძობთ შენს „შემოქროლებას“, უშუალობას, სიკეთეს და სიყვარულს ისე უშურველად რომ ურიგებდი შენს ახლობლებსა და მეგობრებს.



სიკეთის კეთებისთვის მოგაგლინა ღმერთმა ამ ქვეყანაზე, რაც დიდი პატივი და დაფასებაა; და რაც მთავარია, შენ პირნათლად შეასრულე შენი მისია.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები მე და ჩემს შვილებს, ჩემო „პატარავ“ კიდეც, ძალიან მეცოდები შენც და ჩემი თავიც შენს გარეშე გვიყვარხარ!!!

ნათელში იყოს შენი უანგარო სული. შეხვედრამდე!

შანი და იზა შვილებით

საზარელი მკვლელობა ხადას ხეობაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული მ.კ. დააკავეს.

როგორც გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულის ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, მკვლელობაში ბრალდებულ პირს უვალო პატიმრობა ემუქრება.



„გვსურს, საზოგადოებას მივანოვოთ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ ხადას ხეობაში მომხდარ საზარელ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით.“

მიმდინარე წლის 6 ივლისს „112“-ში შევიდა შეტყობინება საქართველოსა და ამერიკის

ორმაგი მოქალაქეობის მქონე 2 პირის და მათი 4 წლის შვილის დაკარგვის შესახებ. შეტყობინების ინიციატორის თქმით, დაკარგულნი დღეების რაიონში, ხადას ხეობაში იმყოფებოდნენ და მათთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

პოლიციელებმა და მათგან დაუყოვნებლივ დაიწყეს სამძებრო სამუშაოები და შეტყობინებაში მითითებული ადგილები დაათვალიერეს. სამართალდამცველებმა სოფელ წვერში დაკარგულნი კუთვნილი ავტომანქანა და პირადი ნივთები აღმოაჩინეს.

იმავე დღეს, სამართალდამცველების და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მათგანების ინტენსიური სამძებრო სამუშაოების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ლ.ს. ხევში, ჩანჩქერის პირას, გარდაცვლილი იპოვეს, რომელსაც პირველადი დათვალიერების შედეგად ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდა. ხოლო, შემდგომი სამუშაოების შედეგად, 7 ივლისს, ხევში მდებარე ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე 1975 წელს დაბადებული რ.ს.-ს ცხედარი აღმოაჩინეს.

გატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული 1998 წელს დაბადებული პირი დააკავეს, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული.

მასთან საგამოძიებო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს 2014 წელს დაბადებული მცირეწლოვნის ცხედარი.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 4 ივლისს ხადას ხეობაში მდებარე ერთ-ერთი ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშეღებარაკებისას მ.კ.-მ სანადირო თოფიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა რ.ს.-ს და მის შვილს. ხოლო ლ.ს. შემთხვევის ადგილიდან გაქცევის მცდელობისას ხევში გადავიდა და გარდაიცვალა.

დაკავებულმა მოკლული მამაკაცი შემთხვევის ადგილას დატოვა, ხოლო მცირეწლოვნის ცხედარი ზევაში დამალა.

გამოძიების ფარგლებში გარდაცვლილთა ცხედრებს უტარდება ყველა შესაბამისი ექსპერტიზა. ჩადენილი დანაშაული უვალო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის გასარკვევად კი ჩატარდება ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

გარდაცვლილები საქართველოში 6 წელზე მეტი ცხოვრობდნენ, ხოლო ორმაგი მოქალაქის სტატუსი მათ 2012 წელს მიიღეს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება, – განაცხადა ჭელიძემ.

სპორტული

აპირიდან - ახალი წონებით

ტაშკენტში გამართულ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IWF) კონგრესის სხდომაზე, რომელსაც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი დავით ყიფშიძე დაესწრნენ, ათლეტებისთვის ახალი წონები დამტკიცდა: წლეულს პირველი ნოემბრიდან როგორც ვაჟები, ისე ქალები მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებზე, ასევე, საერთაშორისო ტურნირებში მედლებისთვის 10-10 წონით კატეგორიაში, ხოლო ოლიმპიურ თამაშებზე 7-7 წონაში იბრძოლებენ. ეს წონებია:



ვაჟებისთვის: საერთაშორისოზე – 55, 61, 67, 73, 81, 89, 96, 102, 109 და (109 კილოგრამი); ოლიმპიურ თამაშებში – 61, 67, 73, 81, 96, 109, +109 კგ; ქალებისთვის: საერთაშორისოზე – 45, 49, 55, 59, 64, 71, 76, 81, 87, +87 კგ; ოლიმპიურ თამაშებში – 49, 55, 59, 64, 76, 87, +87 კგ;

ახალგაზრდები: ვაჟებისთვის – 49, 55, 61, 67, 73, 81, 89, 96, 102, +102; გოგონებისთვის – 40, 45, 49, 55, 59, 64, 71, 76, 81, +81 კგ.

უზბეკეთის დედაქალაქშივე დაიწყო ახალგაზრდა ძალოსნთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძის ხელმძღვანელობით სამი ქართველიც მოსინჯავს ძალებს. ესენი არიან ნოდარ კაკაბაძე (85 კგ.), რევაზ დავითაძე (85 კგ.) და ირაკლი ჩხეიძე (105 კგ.). ქართველმა ძალოსნებმა შეკრება საჩხერეში გაიარეს.

გივი ბაბუა

სამხედრო პოლიგონზე ჯარისკაცი გარდაიცვალა

ორფოლოს სამხედრო პოლიგონზე წვრთნების დროს ჯარისკაცი დაიღუპა. 34-ე საარტილერიო ბატალიონის კაპრალი, სამხედრო სწავლების ერთ-ერთი ბოლო ეტაპისას შეუძლოდ გახდა და კლინიკაში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია:

„საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 34-ე საარტილერიო ბატალიონის მძლერი ორფოლოში, პოლიგონზე მიმდინარე გეგმიური წვრთნის ერთ-ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ შეუძლოდ გახდა, რის შემდეგაც ის გულის უკმარისობით ახალციხის კლინიკა „უნიმედის“ რეანიმაციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მას გულის პირდაპირი მასაჟის სარეანიმაციო ღონისძიებები ჩაუტარდა, თუმცა კაპრალ გია ჩაჩუას გადარჩენა ვერ მოხერხდა“, – ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

შს სამინისტრომ გამოძიება უკვე დაიწყო, სისხლის სამართლის საქმე სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მუხლით აღიძრა.

სამების ტაქსი 1 თვის ჩვილი დატოვებს

სამების ტაქსის არქიმანდრიტის იოანე მჭედლიშვილის ინფორმაციით, ჩვილი დედამ დატოვა. მისი თქმით, ჩვილს ნათესავები მიხედავენ. მისივე განცხადებით, მშობელს ფსიქიკური პრობლემა ჰქონია.



„ტაქსიში დედამ ჩვილი ბავშვი, დაახლოებით ერთი თვის გოგონა მიატოვა და წავიდა. მტირალი ჩვილი მესანთლემ იპოვა. 112-ში დარეკვის შემდეგ პატრულმა და სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა წაიყვანეს პატარა ანგელოზი და იმედია, დადგინდება, რა მოხდა“, – აღნიშნავს იოანე მჭედლიშვილი.

წყალდიდობა იაკონიაში

იაკონიის დასავლეთით წყალდიდობას 100 ადამიანი ემსხვერპლა. იუწყება Associated Press-ი, ხოლო დაახლოებით 60 ადამიანი დაკარგულად ითვლება.



ყველაზე მეტი მსხვერპლი და ნგრევა მოხდა ხიროსიმაში, სადაც ზოგიერთ ადგილებში ერთ მეტრამდე ნალექი მოვიდა.

ხელისუფლება მოუწოდებს ხალხს, რომ ჯერ არ დაუბრუნდნენ სახლებს, რადგან შეიძლება, ეს საშიში იყოს და ურჩევენ დაელოდონ, ვიდრე სპეციალისტები არ შეამოწმებენ მათ ბინებს. პრობლემა რთულდება 30-გრადუსიანი სიცხის გამო. ასევე ზოგიერთ რაიონში ელექტროენერჯისა და წყლის არქონის გამო.

სინოპტიკოსების თქმით, უამინდობა შეიძლება, კვლავ გაგრძელდეს.

კიმ ჩენ ინი ვლადივოსტოკში ჩაიდა?

ჩრდილოეთი კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის პირადი თვითმფრინავი ვლადივოსტოკში შენიშნეს. თვითმფრინავმა აეროპორტში 3 საათი დაჰყო და შემდეგ ფხენიანში გაფრინდა. ამის შესახებ სამხრეთ კორეის სააგენტო Yonhap-ი წერს. იმყოფებოდა თუ არა თვითმფრინავში კიმ ჩენ ინი, სააგენტოს ინფორმაცია არა აქვს. არის ვარაუდი, რომ მასში ჩრდილოეთ კორეის ჩინოვნიკები იყვნენ, რომლებიც კიმ ჩენ ინის ვლადივოსტოკში სექტემბერში დაგეგმილ აღმოსავლეთ ეკონომიკურ ფორუმზე შესაძლო ჩასვლისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს ანარმობდნენ.



ხორვატიული პენალტი

ფიქრი, რომელიც დაბადა ხორვატიის პრეზიდენტის მოზომილმა დიპლომატიურმა სვლამ – მის თანამემამულეთა კარში გატანის პირველი ხურთის მასპინძელთა თავგაცემისათვის მილოცვამ.


წართმეული, თუნდაც სოჭი, რატომ მასსოვს?

ვიტყვი მოჭრით: ხორვატიას შევნატრი! მსურს, მათეულ იღეთებთან თამაშ-თამაშ მიერთებით გავიტანო პენალტი! ავყიათა ყველა სიტყვა ჭრილობაა მოუბანი და ღმერთი რად გვიწყრება, „გველსა სვრელით გამოიყვანს ენა – ტკბილად მოუბარი“, დღესაც რომ გვაგინებდებ?!
ალექსანდრა ვენგელია, ქუთაისი, 2018 წლის 8 ივლისი, შუაღამე.



ჭუკები და წიწილები: სიარულის ორი სტრატეგია


ბნან ოდესმე არ დაინტერესებულხართ, თუ რატომ, რომ იხვის ჭუკები დედას ერთი მეორის მიყოლებით, ლამის სწორ ხაზზე დაწყობილად მისდევენ, წიწილები კი კრუხის გარშემო თავის ნებაზე ირევიან?



ჭუკებიც და წიწილებიც, გამოჩვევის თანავე, მზად არიან დედას მიჰყვნენ. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იხვებს ხშირად ჭუკების წაყვანა შორ მანძილზე უწევს – საკვებს ფრინველები წყალსაცავში ეძებენ, რომელიც, შესაძლოა, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით იყოს, იქამდე მისასვლელად კი საჭიროა მაღალი, ხშირი ბალახის ზღუდის დაძლევა. იმისათვის, რომ ასეთ არახელსაყრელ ვითარებაში არ დაიკარგონ, ჭუკები, მწკრივის დაურღვევლად, ერთმანეთის მიყოლებით მისდევენ.

ქათამი კი მუდამ საქათმის მახლობლად ტრიალებს, მას იხვის მსგავსად დიდ მანძილზე წიწილების გაყვანის პრობლემა არა აქვს, თანაც საკვებს რომ აჩვენებს, მათთვის უფრო მოსახერხებელია არეულ ჯგუფად გადაადგილება, სხვა შემთხვევაში საკენკამდე მისვლა ბოლოებს გაუჭირდებოდათ.

რამდენი სახელი აქვს „ალფას“?



კომპიუტერების ეპოქაში ძნელად თუ მოიძებნება კაცი, რომელმაც არ იცოდეს ნიშანი „@“, მაგრამ, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ მას „ძალღუკას“ ან „ბაყაყს“ ჩვენში, რუსეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში ეძახიან.

სხვაგან ამ ნიშანს უფრო ხშირად „მაიმუნს“ ან „ლოკოკინას“ უწოდებენ. თუმცა კი ამის გარდა, მას, ერთობ ეგზოტიკური სახელებიც აქვს, მაგალითად, ისრაელში მას „შტრუდელს“ (რულეტის ერთგვარი ნაირსახეობა) ან „მორევს“ ეძახიან, ჩეხეთში – „ქაშაყს მარინადში“, ყაზახეთში – „მთვარის ყურეს“, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში კი „სპილოს ხორთუმს“.

სხვაგან ამ ნიშანს უფრო ხშირად „მაიმუნს“ ან „ლოკოკინას“ უწოდებენ. თუმცა კი ამის გარდა, მას, ერთობ ეგზოტიკური სახელებიც აქვს, მაგალითად, ისრაელში მას „შტრუდელს“ (რულეტის ერთგვარი ნაირსახეობა) ან „მორევს“ ეძახიან, ჩეხეთში – „ქაშაყს მარინადში“, ყაზახეთში – „მთვარის ყურეს“, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში კი „სპილოს ხორთუმს“.

უფროს თუ ქალიშვილი შეაჩინა...

უცნაურ რამეებს არკვევს ხოლმე ისეთი პროზაული საქმიანობა, როგორცაა სტატისტიკა.



აღმოჩნდა, რომ უფროსის ოჯახში ქალიშვილის დაბადება ქვეშევრდომთა ხელფასს ზრდის. თანაც, თუ ქალბატონების შემოსავალი, საშუალოდ, 1,3 პროცენტით მატულობს, მამაკაცებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,6 პროცენტია.

მაგრამ უფროსს ვაჟიშვილი თუ შეეძინა, ეს მის თანამშრომელთა ხელფასებზე უარყოფითად აისახება, ვინაიდან ის, საშუალოდ, 0,4 პროცენტით კლებულობს.

ამ ფენომენის ახსნა სპეციალისტებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს, მაგრამ, ფაქტები, რომ იტყვიან, ჯიუტი რამაა.

ხანდაზმულობის რეკორდსმანი

ცოტა ხნის წინათ ჩინეთში მსოფლიოში უხუცესი დიდი პანდა (ბამბუკის დათვი), 37 წლის ბასი მოკვდა.

დიდ ბრიტანეთში კი 32 წლის სვადი კატა ნატმე დაიღუპა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ასაკოვნად ითვლებოდა. თუმცა, არის მრავალი ცხოველი, რომელიც გაცილებით დიდხანს ცოცხლობს. მაგალითად, უფროსი „თაიმის“ მონაცემებით, სპილოს სიცოცხლის ხანგრძლივობაა 70 წელი, 90 წელს ცოცხლობს ბუ-სებრი თუთიყუში, 200 წელს – ზღვის ზღარბი, 125 წელს – ზუთხი, 170 წელს – მოლუსკი გუიდაკი, 200 წელს – სეიშელის დიდი კუ, 210 წელს – საზანი კოი, 500 წელზე მეტს – ორსაგდულიანი მოლუსკი არქტიკა ისლანდია.



სხვათა შორის, ტურისტოფისის ჯიშის მედუზას, სიბერემდე სიცოცხლის შემდეგ, ისევ... „ბავშვობაში“ დაბრუნების უნიკალური უნარი აქვს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
საბრტაძე ძოვულია
 299-02-10
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესი**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

 9 772 233 385 001

ავტორთა სახსრადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუქვეთავე მასალაში დაიბეჭდა ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსარება-ზი, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილვლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხე!

საქართველოს რესპუბლიკა	უხსოვრი პალატის კარსი: აშუ ფონური - 2.4460; პირი - 2.8635; ბრიტანული მიკროსა სტარტინგი - 3.2370; 100 რუბლი - 3.8692; თურქული ლირა - 0.5310; ანარბაიქანული მანათი - 1.4393; 1000 სომხური დრამი - 5.0642.	აქილი 10 ივლისისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარსი - ლამი +19, ლემი +39 შიშანი რაიონი - ლამი +13, ლემი +35 დასავლეთი საქართველო: ბარსი - ლამი +20, ლემი +35 შიშანი რაიონი - ლამი +16, ლემი +37 თიანეთი - ლამი +23, ლემი +36	დავაიკაპით, მოგვწერათ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
-------------------------------	---	--	---